პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცამეტე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე
ტელეფ. რედაქტორის . . 14-76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8—81

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მ. 20 კ.
1 წლით—14 მ 40 კ.
უცხოეთში
1 თვით—1,5 დოლ.
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ., ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—50 მანეთი. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი"-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 2 ნახევარ საათამდე. პროვინციაში (საგაზეთო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

ამხ. სტალინის მოხსენება

ოთხშაბათი, 11 დეკემბერი 1932 წ.
ყოველდღიური გაზეთი
№ 10 (3566)
ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ხუთწლედის შედეგები

## ამხ. სტალინის მოხსენება,

## საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წლის 7 იანვარს

### I

### ხუთწლედის საერთაშორისო მნიშვნელობა

ამხანაგებო! როცა ხუთწლიანი გეგმა გაჩნდა, არა გვგონია ადამიანებს ჰგონებოდათ, რომ ხუთწლედს ექნებოდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. პირიქით, ბევრი ფიქრობდა, რომ ხუთწლედი არის საბჭოთა კავშირის კერძო საქმე, საქმე მნიშვნელოვანი და სერიოზული, მაგრამ მაინც საბჭოთა კავშირის კერძო, ეროვნული საქმე. მაგრამ ისტორიამ გვიჩვენა, რომ ხუთწლედის საერთაშორისო მნიშვნელობა განუზომელია. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ხუთწლედი წარმოადგენს არა საბჭოთა კავშირის კერძო საქმეს, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეს. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ხუთწლიანი გეგმის გამოჩენამდე, იმ პერიოდში, როცა ჩვენ ვამთავრებდით ბრძოლას ინტერვენტებთან და სამეურნეო მშენებლობის რელსებზე გადავდიოდით, ჯერ კიდევ ამ პერიოდში ლენინი ამბობდა, რომ ჩვენს სამეურნეო მშენებლობას აქვს ღრმა საერთაშორისო მნიშვნელობა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამეურნეო მშენებლობის გზაზე წინ გადადგმული თვითეული ნაბიჯი პოულობს ღრმა გამოხმაურებას კაპიტალისტური ქვეყნების სულ სხვადასხვა ფენებში და ჰყოფს ადამიანებს ორ ბანაკად—პროლეტარული რევოლიუციის მომხრეთა ბანაკად და მის მოწინააღმდეგეთა ბანაკად. ლენინი მაშინ ამბობდა:

„ამჟამად ჩვენ მთავარ ზეგავლენას საერთაშორისო რევოლიუციაზე ვახდენთ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით. საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკას შეჰყურებენ ყველანი, ყველა მშრომელნი მსოფლიოს ყველა ქვეყნებში, ყოველგვარი გამონაკლისის და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. ეს მიღწეულია... ამ ასპარეზზე ბრძოლა გადატანილია მსოფლიო მაშტაბში. თუ გადავწყვეტთ ამ ამოცანას, მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ მსოფლიო მაშტაბით უეჭველად და საბოლოოდ. ამიტომ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ჩვენთვის ენიჭება სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამ ფრონტზე ჩვენ უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება ნელი, თანდათანობითი, — სწრაფად არ შეიძლება—მაგრამ გადაუხრელი ამაღლებით და წინსვლით" (ლენინი, მე-3 გამოცემა. ტ. 26. გვ. 410—411).

ეს იყო ნათქვამი იმ პერიოდში, როცა ჩვენ ვამთავრებდით ომს ინტერვენტებთან, როცა კაპიტალიზმთან სამხედრო ბრძოლიდან ჩვენ გადავდიოდით სამეურნეო ფრონტზე ბრძოლისაკენ, სამეურნეო მშენებლობის პერიოდისაკენ.

ამის შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. და საბჭოთა ხელისუფლების თვითეული ნაბიჯი სამეურნეო მშენებლობის დარგში, თვითეული წელი, თვითეული კვარტალი ბრწყინვალედ ადასტურებდნენ ამხ. ლენინის ამ სიტყვების სისწორეს.

მაგრამ ლენინის სიტყვების სისწორის ყველაზე უფრო ბრწყინვალე დადასტურება მოგვცა ჩვენ მშენებლობის ხუთწლიანმა გეგმამ, ამ გეგმის წარმოშობამ, მისმა განვითარებამ, მისმა განხორციელებამ. მართლაც ისე ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო მშენებლობის გზაზე გადადგმულ არც ერთ ნაბიჯს არ გამოუწვევია ისეთი გამოხმაურება ევროპის, ამერიკის, აზიის კაპიტალისტური ქვეყნების სულ სხვადასხვა ფენებში, როგორც ხუთწლიანი გეგმის, მისი განვითარების, მისი განხორციელების საკითხს. პირველ ხანებში ხუთწლიან გეგმას დასცინოდნენ ბურჟუაზია და მისი პრესა. „ფანტაზია", „ბოდვა", „უტოპია" — ასე მონათლეს მაშინ მათ ჩვენი ხუთწლიანი გეგმა. შემდეგ, როცა აშკარავდებოდა, რომ ხუთწლიანი გეგმის განხორციელება იძლევა რეალურ შედეგებს, ისინი სტეხენ განგაშს და ამტკიცებდნენ, რომ ხუთწლიანი გეგმა ემუქრება კაპიტალისტური ქვეყნების არსებობას, რომ მისი განხორციელება გამოიწვევს ევროპის ბაზრების ავსებას საქონლით, დემპინგის გაძლიერებას და უმუშევრობის გაღრმავებას. შემდეგ, როცა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოყენებულმა ამ ოინმაც ვერ გამოიღო მოსალოდნელი შედეგები. დაიწყო საბჭოთა კავშირში ყოველგვარი ფირმის, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების, სხვადასხვა საზოგადოებათა და სხ. წარმომადგენლების მოგზაურობათა სერია, რათა საკუთარი თვალით დაენახათ თუ რა ხდება ნამდვილად საბჭოთა კავშირში. მე აქ არ ვლაპარაკობ მუშათა დელეგაციებზე, რომელნიც 5 წლიანი გეგმის გამოჩენის დასაწყისშივე აღტაცებას გამოსთქვამდნენ საბჭოთა ხელისუფლების წამოწყებათა და წარმატებათა გამო და გამოხატავდნენ მზადყოფნას საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის დასახმარებლად.

ამ დროიდან დაიწყო ეგრედწოდებული საზოგადოებრივი აზრის, ბურჟუაზიული პრესის, სხვადასხვა ბურჟუაზიულ საზოგადოებათა და სხვ. გათიშვა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ხუთწლიანმა გეგმამ სრული კრახი განიცადა, და ბოლშევიკები დაღუპვის პირას დგანანო. სხვები, პირიქით, ირწმუნებოდნენ, რომ, თუმცა ბოლშევიკები საძაგელი ადამიანებია, მაგრამ მაინც ხუთწლიანი გეგმით საქმე კეთდება და ისინი ალბად მიაღწევენ თავის მიზანსო. შეიძლება ზედმეტი არ იქნება, თუ მოვიყვანთ ბურჟუაზიული პრესის სხვადასხვა ორგანოების აზრებს.

ავიღოთ, მაგალითად, ამერიკული გაზეთი „ნიუიორკ ტაიმს"-ი. 1932 წლის ნოემბრის დამლევს ეს გაზეთი სწერს:

„5-წლიანი სამრეწ. გეგმა, რომელმაც მიზნად დაისახა ბრძოლის გამოცხადება პროპორციის გრძნობისათვის, რომელიც თავის მიზანს ესწრაფვის „ხარჯებისაგან დამოუკიდებლად", როგორც ხშირად სიამაყით ტრაბახობდა მოსკოვი, — ნამდვილად არ წარმოადგენს გეგმას. ეს სპეკულიაციაა".

გამოდის, რომ ხუთწლედი გეგმაც კი არ არის, არამედ ცარიელი სპეკულიაციაა".

აი ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთის „დეილი ტელეგრაფ"-ის აზრი, რომელიც გამოთქმულია 1932 წლის ნოემბრის დამლევს.

„თუ გეგმას განვიხილავთ, როგორც გამოცდას „დაგეგმილ ეკონომიკისათვის", მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ მან სრული მარცხი განიცადა".

„ნიუ-იორკ ტაიმს"-ის აზრი, რომელიც მან გამოსთქვა 1932 წლის ნოემბერში:

„კოლექტივიზაცია სამარცხვინოთ დამარცხდა. მან შიმშილის პირას მიიყვანა რუსეთი".

პოლონეთის ბურჟუაზიული გაზეთის „გაზეტა პოლსკა"-ს აზრი, გამოთქმული 1932 წლის ზაფხულში:

„მდგომარეობა თითქოს გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მთავრობა სოფლის კოლექტივიზაციის პოლიტიკით ჩიხში მოექცა".

ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთის „ფინენშიელ ტაიმს"-ის აზრი, გამოთქმული 1932 წლის ნოემბერში:

„სტალინი და მისი პარტია, თავისი პოლიტიკის შედეგად, სდგანან ხუთწლიანი გეგმის სისტემის კრახისა და ყველა იმ ამოცანების დამარცხების წინაშე, რომლებიც ამ გეგმას უნდა განეხორციელებინა".

იტალიური ჟურნალის „პოლიტიკა"-ს აზრი:

„უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ 160 მილიონი კაცისაგან შემდგარი ერის 4 წლის მუშაობამ, ეკონომიური და პოლიტიკური ძალების ზეადამიანურმა დაჭიმვამ 4 წლის განმავლობაში ისეთი ძალის მქონე რეჟიმის მხრივ, როგორსაც წარმოადგენს ბოლშევიკური რეჟიმი, არაფერი არ შექმნეს. პირიქით. მათ ბევრი რამ შექმნეს... და მიუხედავად ამისა მაინც ადგილი აქვს კატასტროფას. იგი ყველასათვის აშკარა ფაქტია. ამაში დარწმუნდნენ მტრები და მოყვარენი. ბოლშევიკები და ანტი-ბოლშევიკები, ოპოზიციონერები მარჯვნიდან და მარცხნიდან".

და, ბოლოს. ამერიკული ბურჟუაზიული ჟურნალის „კერენტ ისტორი"-ს აზრი:

„ამგვარად, რუსეთში საქმის ეხლანდელი მდგომარეობის მიმოხილვას მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ხუთი წლის პროგრამა დამარცხდა, როგორც დასახულ მიზნების მხრივ, ისე კიდევ უფრო საფუძვლიანად მისი ძირითადი სოციალური პრინციპების მხრივ".

არც უნდა ღირდეს ამ დახასიათებათა ავტორების გაკრიტიკება. მე ვფიქრობ, რომ არ ღირს, რადგან ეს „შუბლმაგარი" ხალხი ეკუთვნის საშუალო საუკუნეების პერიოდის ამონათხართა ჯიშს და როგორც არ უნდა განხორციელდეს ჩვენში ხუთწლიანი გეგმა, ისინი მაინც თავისას იტყვიან.

გადავიდეთ პრესის სხვა ორგანოების აზრზე, რომელიც იმავე ბურჟუაზიულ ბანაკიდან გამომდინარეობს.

აი ცნობილი ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთის „ტან"-ის აზრი, რომელიც მან გამოსთქვა 1932 წლის იანვარში:

„საბჭოთა კავშირმა მოიგო პირველი ტური, ანხორციელებს რა ინდუსტრიალიზაციას უცხოეთის კაპიტალის დაუხმარებლად".

იმავე „ტან"-ის აზრით, გამოთქმული 1932 წლის ზაფხულში.

„კომუნიზმი გიგანტური ტემპებით ამთავრებს რეკონსტრუქციას იმ დროს, როცა კაპიტალისტური წყობილება მხოლოდ ნელი ნაბიჯით წინსვლის საშუალებას იძლევა... საფრანგეთში, სადაც მიწის საკუთრება დაყოფილია დაუსრულებლივ ცალკე მესაკუთრეებს შორის, შეუძლებელია სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. საბჭოებმა კი, რომელნიც ანხორციელებენ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას, შესძლეს პრობლემის გადაჭრა... ჩვენთან შეჯიბრებაში ბოლშევიკები გამარჯვებული აღმოჩნდენ".

ინგლისის ბურჟუაზიული ჟურნალის „რაინდ ტეიბლ"-ის აზრი:

„ხუთწლიანი გეგმის მიღწევები გასაოცარ მოვლენას წარმოადგენენ. სატრაქტორო ქარხნები ხარკოვსა და ლენინგრადში, „ამო"-ს საავტომობილო ქარხანა მოსკოვში, საავტომობილო ქარხანა ნიჟნი-ნოვგოროდში, დნეპრის ჰიდროსადგური, გრანდიოზული ლითონის იამომსხმელი ქარხნები — მაგნიტოგორსკსა და კუზნეცკში, მანქანების საამშენებლო და ქიმიური ქარხნების მთელი ქსელი ურალზე, რომელიც საბჭოთა რუურად იქცევა—ყველა ეს და სხვა სამრეწველო მიღწევები მთელს სახელმწიფოში მოწმობენ, რომ, როგორიც არ უნდა იყოს სიძნელეები, საბჭოთა მრეწველობა იზრდება და მაგრდება როგორც მცენარე, რომელსაც კარგად რწყავენ. ხუთწლიანმა გეგმამ საფუძველი ჩაუყარა მომავალ განვითარებას და უაღრესად გაადიდა საბჭოთა კავშირის სიძლიერე".

ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთის „ფინენშიელ ტაიმს"-ის აზრი:

„მანქანათმშენებლობის მრეწველობაში მიღწეული წარმატებანი ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ამ წარმატებებისათვის ხოტბის შესხმა პრესაში და სიტყვებში სრულიადაც არ არის უსაფუძვლო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წინათ რუსეთი ამზადებდა მხოლოდ ყველაზე მარტივ მანქანებს და იარაღებს. მართალია, ეხლაც მანქანების და ინსტრუმენტების შემოზიდვის აბსოლიუტური ციფრები იზრდება, მაგრამ შემოზიდულ მანქანების პროპორციული წილი იმ მანქანებთან შედარებით, რომლებიც დამზადდა თვით საბჭოთა კავშირში, განუწყვეტლივ მცირდება. საბჭოთა კავშირი ამჟამად ამზადებს მთელ მოწყობილობას, რომელიც საჭიროა მისი მეტალურგიული და ელექტრო - მრეწველობისათვის. მან შესძლო საკუთარი საავტომობილო მრეწველობის შექმნა. მან შექმნა იარაღების და ინსტრუმენტების წარმოება, რომელიც შეიცავს მთელ გამმას დაწყებული დიდი სიზუსტის ყველაზე მცირე ინსტრუმენტებით და გათავებული უმძიმესი პრესებით. რაც შეეხება სასოფლო - სამეურნეო მანქანებს, საბჭოთა კავშირი უკვე აღარ არის დამოკიდებული მათი უცხოეთიდან შემოზიდვაზე. ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ ქვანახშირის და რკინის პროდუქციის მიწოდების დაგვიანებამ ხელი არ შეუშალოს ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებას. ეჭვს გარეშეა, რომ ახლად აგებული უდიდესი ქარხნები უზრუნველჰყოფენ მძიმე მრეწველობის პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდას".

ავსტრიის ბურჟუაზიულ გაზეთის „ნეიე ფრეიე პრესსე"-ს აზრი, გამოთქმული 1932 წლის დამლევს:

„შეიძლება ბოლშევიზმის ძაგება, მაგრამ საჭიროა მისი ცოდნა. ხუთწლედი ეს ახალი ბუმბერაზია, რომელიც უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში და, ყოველ შემთხვევაში, სამეურნეო ანგარიშში".

ინგლისელი კაპიტალისტის, „იუნაიტედ დომინიონ"-ის ბანკის თავმჯდომარის, გიბსონ ჯარვის აზრით, გამოთქმული 1932 წლის ოქტომბერში:

„მე მინდა განვმარტო, რომ არა ვარ კომუნისტი და ბოლშევიკი, მე ვარ აშკარა კაპიტალისტი და ინდივიდუალისტი...რუსეთი წინ მიდის იმ დროს, როცა ბევრი ჩვენი ქარხანა უმოქმედოდ სდგას და დაახლოებით სამი მილიონი ჩვენი მოქალაქე სასოწარკვეთილი დაეძებს სამუშაოს. ხუთწლედს დასცინოდნენ და წინასწარმეტყველებდნენ მის ჩაშლას. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ უეჭველად ჩასთვალოთ, რომ ხუთწლიანი გეგმის პირობებში გაკეთდა უფრო მეტი ვიდრე დასახული იყო. ყველა სამრეწველო ქალაქებში, რომლებიც მე ვინახულე, იქმნება ახალი რაიონები, აგებული განსაზღვრული გეგმის მიხედვით, ფართო ქუჩებით. რომლებიც მორთულია ხეებით და ბაღებით, ყველაზე უფრო თანამედროვე ტიპის სახლებით, სკოლებით, საავადმყოფოებით, მუშათა კლუბებით და აუცილებელი საბავშო ბაგეებით და საბავშო სახლებით, სადაც ზრუნავენ მომუშავე დედების ბავშვებზე... ნუ ცდილობთ არა საკმაოდ შეაფასოთ რუსეთის გეგმები და ნუ ჩაიდენთ შეცდომას იმ იმედით, რომ საბჭოთა მთავრობა შეიძლება დამარცხდეს.... დღევანდელი რუსეთი არის ქვეყანა სულით და იდეალით, რუსეთი განსაცვიფრებელი აქტივობის ქვეყანაა. მე მწამს, რომ რუსეთის მისწრაფებანი ჯანსაღია.. შეიძლება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყვეს ის, რომ რუსეთის მთელს ახალგაზრდობას და მუშებს აქვთ ერთი საგანი, რომელსაც სამწუხაროდ დღეს მოკლებული არიან კაპიტალისტურ ქვეყნებში, სახელდობრ — იმედი.

ამერიკული ბურჟუაზიული ჟურნალის „ნეიშენ"-ის აზრი, გამოთქმული 1932 წლის ნოემბერში:

„ხუთწლიანი გეგმის ოთხმა წელმა ჭეშმარიტად შესანიშნავი მიღწევები დაგვანახვა. საბჭოთა კავშირი სამხედრო დროის ინტენსივობით მუშაობდა ახალი ცხოვრების საფუძვლების აგების შემოქმედებითი ამოცანის გადასაჭრელად. ამ ქვეყნის სახე ისე იცვლება, რომ მას სრულიად ვეღარ იცნობ. ეს ითქმის მოსკოვის შესახებ. მისი მრავალი ასეული ახლად შეკეთებული ქუჩებით და ბაღებით, ახალი სახლებით, ახალი განაპირა უბნებით და ახალი ფაბრიკების კორდონით მის გარეუბანში. ეს ითქმის აგრეთვე უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ქალაქების შესახებ. ახალი ქალაქები წარმოიშვებიან ველებში და უდაბნოებში. არა რაღაც რამდენიმე ქალაქი, არამედ სულ ცოტა 50 ქალაქი, მოსახლეობით 50-დან 250 ათას კაცამდე. ყველა ისინი აღმოცენდნენ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. ყოველი მათგანი წარმოადგენს ახალ საწარმოს ან მთელ რიგ საწარმოთა ცენტრს, რომლებიც აგებული არიან ბუნებრივი რესურსების გადასამუშავებლად. ასეული რაიონული ელექტროსადგურები და მთელი რიგი გიგანტები, დნეპრსტროის მსგავსად. თანდათან ხორცს ასხამენ ლენინის ფორმულას—„სოციალიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს ელექტრიფიკაცია"... საბჭოთა კავშირმა მოაწყო უთვალავი საგნების მასიური წარმოება, ისეთი საგნების, რომლებსაც რუსეთი წინად არასოდეს არ ამზადებდა: ტრაქტორების, კომბაინების, მაღალხარისხოვანი ფოლადის, სინთეტიური კაუჩუკის, ბურთოსაკისურის, მძლავრი დიზელების 50.000 კილოვატიანი ტურბინების, სატელეფონო მოწყობილობის, ელექტრო - მანქანების სამთომრეწველობისათვის, ჰაეროპლანების, ავტომობილების, ველოსიპედების და რამდენიმე ასეული ტიპის ახალი მანქანების.:.

პირველად ისტორიაში რუსეთმა მოაწყო ალუმინის, მაგნეზიტის, აპატიტის, იოდის, პოტაშის და ბევრი სხვა ძვირფასი პროდუქტების მოპოვება. საბჭოთა სოფლის გზის მაჩვენებელ წერტილებს, უკვე წარმოადგენენ არა დიდი ჯვრები და ეკლესიის გუმბათები, არამედ მარცვლეულის ელევატორები და სასილოსე კოშკები. კოლმეურნეობები აშენებენ სახლებს, ბოსლებს, საღორეებს. ელექტრონი ვრცელდება სოფლად, რადიომ და გაზეთმა დაიპყრეს სოფელი. მუშები სწავლობენ უახლეს მანქანებზე მუშაობას. ახალგაზრდა გლეხები ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და მუშაობენ ამ მანქანებზე. რომლებიც უფრო დიდი და რთულია, ვიდრე ის, რაც ოდესმე უნახავს ამერიკას. რუსეთი იწყებს „მანქანებით აზროვნებას". რუსეთი ხის საუკუნიდან სწრაფად შედის რკინის, ფოლადის, ბეტონის და მოტორების საუკუნეში".

ინგლისური „მემარცხენე" რეფორმისტული ჟურნალ „ფორვარდ"-ის აზრი, გამოთქმული 1932 წლის სექტემბერში:

„თვალში გეცემა ის უდიდესი მუშაობა, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირში. ახალი ქარხნები, ახალი სკოლები, ახალი კინოები, ახალი კლუბები. ვეებერთელა ახალი სახლები—ყველგან ახალი ნაგებობანი. ბევრი მათგანი უკვე დამთავრებულია, ბევრი მათგანი ჯერ კიდევ გარშემორტყმულია ტყეებით, ძნელია უამბო ინგლისელ მკითხველს, თუ რა გაკეთდა ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში და რა კეთდება შემდეგ. საჭიროა ნახო ყველაფერი ეს, რომ დაიჯერო იგი. ჩვენი საკუთარი მიღწევები, რაც ჩვენ მიერ განხორციელებულია ომის შემდეგ, სრულიად უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც კეთდება საბჭოთა კავშირში. ამერიკელები აღიარებენ, რომ იმ პერიოდშიაც კი, როცა დასავლეთის შტატებში სწარმოებდა გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობა, იქ არ ყოფილა არავითარი იმ ეხლანდელი გაცხოველებული შემოქმედებითი საქმიანობის მსგავსი რამ, რაც ეხლა სწარმოებს საბჭოთა კავშირში. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში მოხდა იმდენად ბევრი ცვლილებანი, რომ ვეღარ წარმოვიდგენია თუ რა იქნება ამ ქვეყანაში კიდევ 10 წლის შემდეგ.. ნუ დაუჯერებთ იმ ფანტასტიურ, საშინელ ისტორიებს, რასაც მოგითხრობენ თქვენ ინგლისური გაზეთები, რომლებიც ასე დაჟინებით და სულელურად სტყუიან საბჭოთა კავშირის შესახებ. ნუ დაუჯერებთ აგრეთვე იმ მოდილეტანტო ინტელიგენტების მიერ გადმოცემულ ფოტოგრაფიულ სიმართლეს და შთაბეჭდილებებს, რომლებიც მფარველობით უყურებენ საბჭოთა კავშირს საშუალო კლასის სათვალეებით, მაგრამ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმაზე თუ რა ხდება იქ... საბჭოთა კავშირი აშენებს ახალ საზოგადოებას ჯანსაღ საფუძვლებზე. რომ განახორციელო ეს მიზანი, საჭიროა გასწიო რისკი, იმუშაო ენტუზიაზმით და ისეთი ენერგიით, რომელიც დღემდე უმაგალითოა მსოფლიოსათვის, უნდა მიაღწიო უდიდესი სიძნელეებით, რაც აუცილებელია დანარჩენ მსოფლიოსაგან განცალკევებულ უზარმაზარ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მისწრაფების დროს. მაგრამ როცა ეს ქვეყანა მე ვნახე ორი წლის შემდეგ, მივიღე ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგი მიდის მტკიცე პროგრესის გზით, გეგმავს, ქმნის, აშენებს და ყოველივე ამას იგი აკეთებს ისეთი მასშტაბით, რომელიც წარმოადგენს აშკარა გამოწვევას მტრულად განწყობილ კაპიტალისტურ მსოფლიოს მიმართ".

ასეთია უთანხმოება და განხეთქილება ბურჟუაზიული წრეების ბანაკში, რომელთაგან ერთნი მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის მოსპობას ვითომდა ჩაფუშული ხუთწლიანი გეგმით, ხოლო სხვები, როგორც ჩანს. მომხრე არიან საბჭოთა კავშირთან საქმიანი თანამშრომლობის, ალბად იმ ანგარიშით, რომ ხუთწლიანი გეგმის წარმატებებიდან ნახონ თავისთვის ერთგვარი სარგებლობა. განსაკუთრებით სდგას საკითხი თუ როგორი დამოკიდებულებას იჩენს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი ხუთწლიანი გეგმისა და საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის წარმატებებისადმი.

შეიძლებოდა აქ დავკმაყოფილებულიყავით ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან მუშათა დელეგაციების, თუნდაც მაგალითად ბელგიის მუშათა დელეგაციის, აზრის მოყვანით, რომლებიც ყოველ წელიწადს ჩამოდიან საბჭოთა კავშირში.

ეს აზრი ტიპიურია უკლებლივ ყველა მუშათა დელეგაციებისათვის, სულ ერთია ლაპარაკია ინგლისის ან საფრანგეთის დელეგაციაზე, გერმანიის ან ამერიკის, თუ სხვა ქვეყნების დელეგაციაზე. აი მათი აზრი:

„ჩვენ აღტაცებული ვართ იმ უდიდესი მშენებლობით, რომელიც ვნახეთ ჩვენი მოგზაურობის დროს. მოსკოვში, ისე როგორც მაკეევკაში, გორლოვკაში, ხარკოვში და ლენინგრადში ჩვენ ვნახეთ თუ როგორი ენტუზიაზმით მუშაობენ იქ. ყველა მანქანები უახლესი კონსტრუქციისაა. ქარხნებში სისუფთავე, ბევრი ჰაერი და სინათლეა. ჩვენ ვნახეთ თუ როგორ უწევენ საბჭოთა კავშირში საექიმო და სანიტარულ დახმარებას მუშებს. მუშათა საცხოვრებელი სახლები აშენებულია ქარხნების მახლობლად. მუშათა ქალაქებში მოწყობილია სკოლები და ბაგეები, უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ბავშვებისადმი. ჩვენ ვნახეთ თუ რა განსხვავებაა ძველ და ახალ საცხოვრებელ სახლებს შორის. ყველა ჩვენ მიერ ნახულმა მოგვცა ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა უდიდესი ძალა აქვთ მშრომელებს, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებენ ახალ საზოგადოებას. ჩვენ ვნახეთ საბჭოთა კავშირში დიდი კულტურული განვითარება იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებში გამეფებულია დაცემა ყველა დარგებში და გამეფებულია უმუშევრობა. ჩვენ ვნახეთ თუ რა საშინელ სიძნელეებს აწყდებიან საბჭოთა კავშირის მშრომელები თავიანთ გზაზე. ჩვენ მით უფრო მეტად გვესმის მათი სიამაყე, რომლითაც ისინი გვიჩვენებენ თავიანთ გამარჯვებებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინიც გადალახავენ ყველა დაბრკოლებებს".

აი ხუთწლედის საერთაშორისო მნიშვნელობა. საკმაო იყო ჩაგვეტარებინა საამშენებლო მუშაობა რაღაც ორი-სამი წლის განმავლობაში, საკმაო იყო გვეჩვენებინა ხუთწლედის პირველი წარმატებანი, რომ მთელი მსოფლიო გაპობილიყო ორ ბანაკად, ისეთი ადამიანების ბანაკად, რომლებიც დაუღალავად გვიყეფენ ჩვენ და ისეთი ადამიანების—რომლებიც განცვიფრებული არიან ხუთწლედის წარმატებებით, თუ არ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ არის და ძლიერდება ჩვენი საკუთარი ბანაკი მთელს მსოფლიოში—კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბანაკი, რომელსაც ახარებს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის წარმატებანი და რომელიც მზადაა აღმოუჩინოს მას დახმარება მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის თავზარდასაცემად.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს იმას, რომ ხუთწლედის საერთაშორისო მნიშვნელობა, მის წარმატებათა და მონაპოვართა საერთაშორისო მნიშვნელობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

ეს ნიშნავს იმას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს მოელის პროლეტარული რევოლიუცია და სწორედ იმიტომ, რომ მათ მოელის პროლეტარული რევოლიუცია, ბურჟუაზიას სურდა ხუთწლედის დამარცხებაში ეპოვნა ახალი არგუმენტი რევოლიუციის წინააღმდეგ. და, პირიქით, პროლეტარიატი ცდილობს იპოვოს და ნამდვილად პოულობს, ხუთწლედის წარმატებებში ახალი არგუმენტი რევოლიუციის სასარგებლოდ, მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ხუთწლედის წარმატებანი რაზმავენ ყველა ქვეყნის მუშათა კლასის რევოლიუციურ ძალებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ასეთია უდაო ფაქტი.

არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ ხუთწლედის საერთაშორისო რევოლიუციური მნიშვნელობა ნამდვილად განუზომელია. მით უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენ ხუთწლედის, ხუთწლედის შინაარსის, ხუთწლედის ძირითადი ამოცანების საკითხს. მით უფრო გულდასმით უნდა გავუკეთოთ ანალიზი ხუთწლედის შინაარსს, ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგებს.

### II

### ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა და მისი განხორციელების გზა

გადავიდეთ გეგმის საკითხზე არსებითად:

რა არის ხუთწლიანი გეგმა?

რაში მდგომარეობდა ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა?

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი ქვეყანა, მისი ჩამორჩენილი, ხშირად საშუალო საუკუნოებრივი ტექნიკით, გადაეყვანა ახალი თანამედროვე ტექნიკის რელსებზე.

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა, იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა კავშირი აგრარულ და უძლურ კაპიტალისტური ქვეყნების კაპრიზებისაგან დამოკიდებულ ქვეყნიდან გადაექცია ინდუსტრიალურ და მძლავრ, სავსებით თვითმყოფ და მსოფლიო კაპიტალიზმის კაპრიზებისაგან დამოუკიდებელ ქვეყნად.

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გადააქცევდა რა საბჭოთა კავშირს ინდუსტრიალურ ქვეყნად, გაეფართოვებინა მეურნეობის სოციალისტური ფორმების ფრონტი და შეექმნა ეკონომიური ბაზა კლასების მოსპობისათვის საბჭოთა კავშირში, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ შეექმნა ჩვენს ქვეყანაში ისეთი ინდუსტრია, რომელიც შესძლებდა ხელახლა შეეიარაღებინა და გადაეკეთებინა არა მარტო მრეწველობა მთლიანად, არამედ ტრანსპორტიც, არამედ სოფლის მეურნეობაც სოციალიზმის ბაზაზე.

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გადაეყვანა წვრილი და დაქუცმაცებული სასოფლო მეურნეობა მსხვილი კოლექტიური მეურნეობის რელსებზე, უზრუნველეყო ამით სოციალიზმის ეკონომიური ბაზა სოფლად და ამრიგად მოესპო კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირში.

ბოლოს, ხუთწლიანი გეგმის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ შეექმნა ჩვენს ქვეყანაში ყველა საჭირო ტექნიკური და ეკონომიური წინაპირობები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის მაქსიმალური გაძლიერებისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს გადაჭრით მოვიგერიოთ ყველა და ყოველგვარი ცდა შეიარაღებული ინტერვენციისა გარედან. ყველა და ყოველგვარი ცდა შეიარაღებული თავდასხმისა გარედან.

რით იყო ნაკარნახევი ხუთწლედის ეს ძირითადი ამოცანა, რით იყო იგი დასაბუთებული?

საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საჭიროებით, იმ ჩამორჩენილობის, რომელიც მას არა სახარბიელო არსებობას უქადდა. ჩვენს ქვეყანაში ისეთი წინაპირობების შექმნის საჭიროებით, რომლებიც მას მისცემდენ საშუალებას არა მარტო დაეწიოდა ტექნიკურ-ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ დროთა განმავლობაში კიდეც გაესწრო მათთვის.

იმ მოსაზრებით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია დიდხანს გაუძლოს ჩამორჩენილი მრეწველობის ბაზაზე, რომ მხოლოდ თანამედროვე მსხვილი მრეწველობა, რომელიც არა თუ ჩამოუვარდება, არამედ დროთა განმავლობაში გადააჭარბებს კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობას, შეიძლება იყოს ნამდვილი და საიმედო საყრდენი საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

იმ მოსაზრებით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია ხანგრძლივად დაეყრდნოს ორ მოპირდაპირე საფუძველს, მსხვილ სოციალისტურ მრეწველობას, რომელიც სპობს კაპიტალისტურ ელემენტებს, და წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობას, რომელიც წარმოშობს კაპიტალისტურ ელემენტებს.

იმ მოსაზრებით, რომ სანამ არ შექმნილა მსხვილი წარმოების ბაზა წვრილი გლეხური მეურნეობისათვის, სანამ წვრილი გლეხური მეურნეობანი არ გაერთიანებულან მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში, მანამდე კაპიტალიზმის აღდგენის საფრთხე საბჭოთა კავშირში წარმოადგენს ყველაზე რეალურ საფრთხეს ყველა შესაძლებელ საფრთხეთაგან.

ლენინი ამბობდა:

„რევოლიუციამ გააკეთა ის, რომ რამდენიმე თვეში რუსეთი თავისი პოლიტიკური წყობილებით დაეწია მოწინავე ქვეყნებს, მაგრამ ეს ცოტაა. ომი ულმობელია, იგი საკითხს დაუნდობელი სიმკაცრით აყენებს: ან დავიღუპოთ, ან დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს და გავუსწროთ მათ ეკონომიურადაც... დავიღუპოთ ან მთელი სისწრაფით გავიქანოთ წინ. ასე დასვა საკითხი ისტორიამ" (ლენინი, მესამე გამოც. ტ. 21, გვ. 191).

ლენინი ამბობდა:

„სანამ ჩვენ წვრილ გლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში არის უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა, ვიდრე კომუნიზმისათვის. ეს უნდა გვახსოვდეს. ყველა, ვინც გულდასმით აკვირდება ცხოვრებას სოფლად, ქალაქის ცხოვრებასთან შედარებით იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოგვიძირკვია და შინაური მტრის საძირკველი, საფუძველი არ ამოგვითხრია. უკანასკნელი ეყრდნობა წვრილ მეურნეობას და მისი ძირის ამოსათხრელად არსებობს ერთი საშუალება—გადავიყვანოთ ქვეყნის მეურნეობა, მათ შორის მიწათმოქმედებაც, ახალ ტექნიკურ ბაზაზე. თა-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ნამეტროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე... მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ტრანსპორტს შევუქმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ საბოლოოდ". (ლენინი, მესამე გამოც. ტ. 26 გვ. 46—47).

სწორედ ეს დებულებანი დაედო საფუძვლად პარტიის იმ მოსაზრებებს, რომლებმაც მიგვიყვანეს ხუთწლიანი გეგმის გამომუშავებამდე. რომლებმაც მიგვიყვანეს ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანის განსაზღვრამდე.

ასეა საქმე ხუთწლედის ძირითადი ამოცანის მხრივ.

მაგრამ ასეთი გრანდიოზული გეგმის განხორციელების დაწყება შეუძლებელია უსისტემოდ, უთავბოლოდ ასეთი გეგმის განსახორციელებლად პირველ ყოვლისა საჭიროა გამოვნახოთ გეგმის ძირითადი რგოლი, ვინაიდან მხოლოდ ძირითადი რგოლის გამონახვის და მისთვის ხელის ჩაჭიდებით შეიძლებოდა გეგმის ყველა დანარჩენი რგოლების ამოწევა.

რაში მდგომარეობდა ხუთწლიანი გეგმის ძირითადი რგოლი?

ხუთწლიანი გეგმის ძირითადი რგოლი მდგომარეობდა მძიმე მრეწველობაში მისი მთავარი ძარღვით — მანქანთმშენებლობით. ვინაიდან მხოლოდ მძიმე მრეწველობას შეუძლია გადააკეთოს და ფეხზე დააყენოს მრეწველობაც მთლიანად, ტრანსპორტიც, სოფლის მეურნეობაც. სწორედ აქედან უნდა დაწყებულიყო ხუთწლედის განხორციელება. მაშასადამე, ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საფუძვლად უნდა დაგვედო მძიმე მრეწველობის აღდგენა.

ჩვენ გვაქვს ლენინის მითითებანი ამ საკითხის შესახებაც:

„რუსეთისათვის ხსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში,—ეს კიდევ ცოტაა,—და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც აწვდის გლეხობას მოხმარების საგნებს,—ესეც კიდევ ცოტაა,—ჩვენ გვესაჭიროება აგრეთვე მძიმე ინდუსტრია;... მძიმე ინდუსტრიის გადარჩენის გარეშე, მისი აღდგენის გარეშე ჩვენ ვერავითარ მრეწველობას ვერ ავაშენებთ, ხოლო უამისოდ ჩვენ საერთოდ დავიღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა... მძიმე ინდუსტრია საჭიროებს სახელმწიფოებრივ სუბსიდიებს. თუ ჩვენ მათ ვერ გამოვძებნით, ჩვენ როგორც ცივილიზებული სახელმწიფო,—უკვე აღარ ვლაპარაკობ, როგორც სოციალისტური სახელმწიფო,—დავიღუპებით" (ლენინი, მესამე გამოც. ტ. 27, გვერდი 349).

მაგრამ მძიმე ინდუსტრიის აღდგენა და განვითარება, განსაკუთრებით ისეთ ჩამორჩენილ და ღარიბ ქვეყანაში, როგორიც იყო ჩვენი ქვეყანა ხუთწლედის დასაწყისში, წარმოადგენს ყველაზე ძნელ საქმეს, ვინაიდან მძიმე ინდუსტრია, როგორც ცნობილია, მოითხოვს დიდძალ სახსრებს და გამოცდილი ტექნიკური ძალების ერთგვარ მინიმუმს, ურომლისოდ, საერთოდ რომ ითქვას, შეუძლებელია მძიმე ინდუსტრიის აღდგენა. იცოდა თუ არა ეს პარტიამ და ერკვეოდა თუ არა იგი ამაში? დიახ, იცოდა და არა მარტო იცოდა, არამედ ამის შესახებ საქვეყნოდ აცხადებდა. პარტიამ იცოდა, თუ რა გზით შეიქმნა მძიმე ინდუსტრია ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში. მან იცოდა, რომ მძიმე ინდუსტრია ამ ქვეყნებში შეიქმნა ან დიდი სესხების საშუალებით, ან სხვა ქვეყნების გაძარცვის გზით, ან და ერთდროულად ორივე ამ გზით. პარტიამ იცოდა, რომ ეს გზები დახურულია ჩვენი ქვეყნისათვის. მაშ რის იმედი ჰქონდა მას? მას ჰქონდა ჩვენი ქვეყნის საკუთარი ძალების იმედი. მას ჰქონდა იმის იმედი, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობით და მიწის, მრეწველობის, ტრანსპორტის, ბანკების, ვაჭრობის ნაციონალიზაციაზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ ეკონომიის უსასტიკესი რეჟიმი იმისათვის, რომ დავაგროვოთ საჭირო საშუალებანი მძიმე ინდუსტრიის აღსადგენად და განსავითარებლად. პარტია პირდაპირ ამბობდა, რომ ეს საქმე მოითხოვს სერიოზულ მსხვერპლს და რომ ჩვენ უნდა გავიღოთ ეს მსხვერპლი აშკარად და შეგნებულად, თუ გვინდა მიზანს მივაღწიოთ. პარტიას იმედი ჰქონდა, რომ ამ საქმეს წინ წასწევდა ჩვენი ქვეყნის საკუთარი ძალებით გარედან დამმონებელი კრედიტების და სესხების მიუღებლად.

აი რას ამბობს ლენინი ამ საკითხის შესახებ:

„ჩვენ უნდა შევეცადოთ ავაშენოთ სახელმწიფო, რომელშიაც მუშები შეინარჩუნებდენ თავის ხელმძღვანელობას გლეხებზე, გლეხების ნდობას თავისადმი და უდიდესი ეკონომიით განდევნიდენ თავისი საზოგადოებრივ ურთიერთობიდან რაიმე ფუფუნების ყოველგვარ კვალს. ჩვენი სახელმწიფო აპარატი უნდა დავიყვანოთ მაქსიმალურ ეკონომიამდე. იქიდან ჩვენ უნდა განვდევნოთ ფუფუნების ყოველგვარი კვალი, რომელიც იქ ასე ბლომად დარჩა მეფის რუსეთისაგან, მისი ბიუროკრატიულ-კაპიტალისტურ აპარატისაგან. ხომ არ იქნება ეს გლეხური შეზღუდულობის სამეფო? არა. თუ ჩვენ მუშათა კლასს შევუნარჩუნებთ ხელმძღვანელობას გლეხობაზე, მაშინ, ჩვენს სახელმწიფოში მეურნეობის უდიდესი და უდიდესი ეკონომიის დაცვით, ჩვენ მივიღებთ საშუალებას მივაღწიოთ იმას, რათა ყოველგვარი უმცირესი მონაზოგი შევინახოთ ჩვენი მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის განვითარებისათვის, ელექტროფიკაციის, ჰიდროტორფის განვითარებისათვის, ვოლხოვშენის აგებისათვის და სხვ. ამაში და მხოლოდ ამაში იქნება ჩვენი იმედი. მხოლოდ მაშინ შევსძლებთ ჩვენ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, გადავჯდეთ ერთი ცხენიდან მეორეზე, სახელდობრ — გლეხური, მუჟიკური, გაძვალტყავებული ცხენიდან, ეკონომიის ცხენიდან, რაც გაპარტახებულ გლეხურ ქვეყანას გულისხმობს, ისეთ ცხენზე, რომელსაც ეძებს პროლეტარიატი თავისთვის და არ შეუძლია არ ეძებოს —, მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, ვოლხოვშენის და სხვ. ცხენზე" (ლენინი მესამე გამოც. ტ. 27, გვ. 417).

გაძვალტყავებული გლეხური ცხენიდან მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის ცხენზე გადაჯდომა — აი რა მიზანი დაისახა პარტიამ, როცა ის ამუშავებდა ხუთწლიან გეგმას და ცდილობდა მის განხორციელებას.

ეკონომიის უსასტიკესი რეჟიმის დაწესება და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დაგროვება — აი რა გზაზე უნდა დავმდგარიყავით, რომ მიგვეღწია მძიმე ინდუსტრიის აღდგენისა და ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის.

გაბედული ამოცანაა? ძნელი გზაა? მაგრამ ჩვენი პარტია იმიტომ იწოდება ლენინურ პარტიად, რომ მას არა აქვს უფლება სიძნელეების ეშინოდეს.

უფრო მეტი, პარტიის რწმენა ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შესაძლებლობაში და მისი რწმენა მუშათა კლასის ძალაში იმდენად ძლიერი იყო, რომ პარტიამ შესაძლებლად დაინახა დაესახა ამოცანად მთელი ამ ძნელი საქმის განხორციელება არა 5 წელს, როგორც ამას ხუთწლიანი გეგმა მოითხოვდა, არამედ 4 წელს, უფრო სწორად — 4 წელს და 3 თვეს, თუ განსაკუთრებულ კვარტალს მიუმატებთ.

სწორედ ამ საფუძველზე წარმოიშვა ცნობილი ლოზუნგი: „ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში".

და მერე რა?

ფაქტებმა შემდეგ გვიჩვენეს, რომ პარტია მართალი იყო, ფაქტებმა გვიჩვენეს, რომ ამ გაბედულობის და მუშათა კლასის ძალისადმი რწმენის გარეშე პარტია ვერ მიაღწევდა ამ გამარჯვებას, რომლითაც ჩვენ ახლა სამართლიანად ვამაყობთ.

### III

## ხუთწლიანი გეგმის ოთხწელიწადში შესრულების შედეგები მრეწველობის ხაზით

გადავიდეთ ახლა ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების საკითხზე.

როგორია ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები მრეწველობის ხაზით?

მივაღწიეთ თუ არა გამარჯვებას ამ დარგში?

დიახ, მივაღწიეთ. და არა თუ მივაღწიეთ, არამედ უფრო მეტი გავაკეთეთ, ვიდრე ამას ჩვენ თვითონ მოველოდით, ვიდრე მოელოდენ ყველაზე უფრო ფიცხი ადამიანები ჩვენს პარტიაში. ამას ახლა მტრებიც კი არ უარყოფენ. მით უფრო არ შეუძლიათ ამის უარყოფა ჩვენს მეგობრებს.

ჩვენ არ გვქონდა შავი მეტალურგია, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი. ახლა ჩვენ იგი გვაქვს.

ჩვენ არ გვქონდა სატრაქტორო მრეწველობა. ახლა ჩვენ იგი გვაქვს.

ჩვენ არ გვქონდა საავტომობილო მრეწველობა, ახლა ჩვენ იგი გვაქვს.

ჩვენ არ გვქონდა დაზგათმშენებლობა. ახლა ჩვენ იგი გვაქვს.

ჩვენ არ გვქონდა სერიოზული და თანამედროვე ქიმიური მრეწველობა. ახლა ჩვენ იგი გვაქვს.

ჩვენ არ გვქონდა ნამდვილი და სერიოზული მრეწველობა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დარგში. ახლა ჩვენ იგი გვაქვს.

ჩვენ არ გვქონდა საავიაციო მრეწველობა. ახლა ჩვენ იგი გვაქვს.

ელექტროენერგიის წარმოების მხრით ჩვენ ყველაზე უფრო უკანასკნელი ადგილი გვეკავა, ახლა ერთ-ერთი პირველი ადგილი დავიჭირეთ.

ნავთის პროდუქტების და ქვანახშირის წარმოების მხრით. ჩვენ უკანასკნელი ადგილი გვეკავა. ახლა დავიჭირეთ ერთ ერთი პირველი ადგილი.

ჩვენ გვქონდა ქვანახშირის წარმოების და მეტალურგიის მხოლოდ ერთი, ერთად-ერთი ბაზა უკრაინაში, რასაც ძლივს ვუძღვებოდით. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ არა მარტო ავსწიეთ ეს ბაზა, არამედ შევქმენით ქვანახშირის წარმოების და მეტალურგიის კიდევ ახალი ბაზა, აღმოსავლეთში, რაც ჩვენი ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენს.

ჩვენ გვქონდა საფეიქრო მრეწველობის მხოლოდ ერთი, ერთად ერთი ბაზა ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ უახლოეს დროში გვექნება საფეიქრო მრეწველობის ორი ახალი ბაზა შუააზიასა და აღმოსავლეთ ციმბირში.

და ჩვენ არა მარტო შევქმენით მრეწველობის ეს ახალი უზარმაზარი დარგები, არამედ ამასთან ისინი შევქმენით ისეთი მასშტაბით, და ისეთ ფარგლებში, რომელთა წინაშე იჩრდილება ევროპის ინდუსტრიის მასშტაბი და ფარგლები.

ხოლო ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ კაპიტალისტური ელემენტები განდევნილია მრეწველობიდან საბოლოოდ და სამუდამოთ, სოციალისტური მრეწველობა კი გახდა ინდუსტრიის ერთად-ერთ ფორმად საბჭოთა კავშირში.

ხოლო ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენი ქვეყანა აგრარული ქვეყნიდან, გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყნად, ვინაიდან სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმართ 48 პროცენტიდან ხუთწლედის დასაწყისში (1928 წელს) გაიზარდა 70 პროცენტამდე ხუთწლედის მეოთხე წლის დამლევს (1932 წელი).

ხოლო ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ხუთწლედის მეოთხე წლის დასასრულს შევძელით შეგვესრულებინა ხუთი წლისათვის განზრახული საერთო სამრეწველო წარმოების პროგრამა 93.7 პროც. და სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაგვედიდებინა სამჯერ და უფრო მეტად ომის წინა დროის დონესთან შედარებით. და ორჯერ და უფრო მეტად 1928 წლის დონესთან შედარებით. რაც კი შეეხება მძიმე მრეწველობის წარმოების პროგრამას 5-წლიანი გეგმა შევასრულეთ 108 პროცენტით. მართალია ხუთწლედის საერთო პროგრამის შესრულებას აქ დააკლდა ექვსი პროც. მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ რადგან მეზობელმა ქვეყნებმა უარი სთქვეს დაედოთ ჩვენთან თავდაუსხმელობის პაქტები და შორეულ აღმოსავლეთში გართულდა მდგომარეობა, ჩვენ მოგვიხდა სასწრაფოდ გადაგვეყვანა მთელი რიგი ქარხნები, თავდაცვის გაძლიერების მიზნით, თავდაცვის თანამედროვე იარაღების წარმოებაზე, ხოლო ამ გადაყვანამ, ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდის გავლის საჭიროების გამო, გამოიწვია ის, რომ ამ ქარხნებმა ოთხი თვის განმავლობაში შესწყვიტეს პროდუქციის წარმოება, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ხუთწლედის საერთო საწარმოო პროგრამის შესრულებაზე 1932 წელს. ამ ოპერაციამ გამოიწვია ის, რომ ჩვენ სავსებით და მთლიანად შევავსეთ ხარვეზები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში. მაგრამ მას არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა წარმოების პროგრამის შესრულებაზე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ თუ არა ეს გაუთვალისწინებელი გარემოება. ჩვენ არა მარტო შევასრულებდით. არამედ უეჭველად გადაჭარბებით შევასრულებდით ხუთწლიანი გეგმის ციფრობრივ ნაწილს.

ბოლოს, ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ სუსტი და თავდაცვისათვის მოუმზადებელი ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ ქვეყნად თავდაცვის უნარის მხრით. ქვეყნად, რომელიც მზად არის ყოველი შემთხვევისათვის და რომელსაც შეუძლია დაამზადოს მასიური მასშტაბით თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღები და მომარაგოს ამ იარაღებით თავისი არმია გარედან თავდასხმის დროს.

ასეთია საერთოდ ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები მრეწველობის ხაზით.

ეხლა თქვენ თვითონ განსაჯეთ: რა ფასი აქვს ყოველივე ამის შემდეგ ბურჟუაზიული პრესის ლაყბობას იმის შესახებ. რომ ხუთწლიანი გეგმა „ჩაიშალა" მრეწველობის დარგში.

ხოლო როგორ არის კაპიტალისტური ქვეყნ. საქმე, რომლებიც ამჟამად განიცდიან საშინელ კრიზისს, მათი სამრეწველო პროდუქციის ზრდის მხრით? აი ყველასათვის ცნობილი ოფიციალური ცნობები. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1932 წლის დასასრულს, ომის წინა დროის დონესთან შედარებით, გაიზარდა 334 პროცენტამდე — ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ამ ხნის განმავლობაში შემცირდა ომის წინა-დროის დონის 84 პროცენტამდე, ინგლისის — 75 პროცენტამდე, გერმანიის 62 პროცენტამდე.

იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1932 წლის დასასრულს, 1928 წლის დონესთან შედარებით, გაიზარდა 219 პროცენტამდე, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ამავე პერიოდში შემცირდა 56 პროცენტამდე ინგლისის — 80 პროცენტამდე, გერმანიის — 56 პროცენტამდე, პოლონეთის — 54 პროცენტამდე. რას გვეუბნებიან ეს ციფრები, თუ არა იმას, რომ მრეწველობის კაპიტალისტურმა სისტემამ ვერ ჩააბარა გამოცდა საბჭოთა სისტემასთან შეჯიბრებაში, რომ მრეწველობის საბჭოთა სისტემას აქვს ყველა უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემასთან შეფარდებით.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ ყველაფერი ეს კარგია, აშენდა ბევრი ახალი ქარხანა. საძირკველი ჩაეყარა ინდუსტრიალიზაციას. მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა უარი გვეთქვა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკაზე. საწარმოო საშუალებათა წარმოების გაფართოების პოლიტიკაზე ან ყოველ შემთხვევაში მოგვექცია ეს საქმე უკანა რიგში იმ ანგარიშით, რომ დაგვემზადებინა მეტი ჩითი. ფეხსაცმელი, ტანისამოსი და ფართო მოხმარების სხვა საგნები. ფართო მოხმარების საგნები დამზადებულია იმაზე ნაკლები, რაც საჭიროა, ხოლო ეს კი ქმნის ერთგვარ სიძნელეებს.

მაგრამ მაშინ საჭიროა ვიცოდეთ და ანგარიში მივცეთ ჩვენს თავს, თუ სანამდი მიგვიყვანდა ინდუსტრიალიზაციის ამოცანების უკანა რიგში მოქცევის ასეთი პოლიტიკა. რასაკვირველია იმ 1,5 მილიარდ მანეთის ვალიუტით, რომელიც დაიხარჯა ამ პერიოდში ჩვენი მძიმე მრეწველობის მოწყობილობაზე, ჩვენ შეგვეძლო გადაგვედვა ნახევარი ბამბის, ტყავის, მატყლის, კაუჩუკის და სხვ შემოსატანად. მაშინ ჩვენ გვექნებოდა მეტი ჩითი, ფეხსაცმელი, ტანისამოსი. მაგრამ მაშინ ჩვენ არ გვიქნებოდა არც ტრაქტორები, არც საავტომობილო მრეწველობა, არ გვექნებოდა რამდენადმე სერიოზული შავი მეტალურგია. არ გვექნებოდა ლითონი მანქანების დასამზადებლად და ჩვენ უიარაღო ვიქნებოდით. ახალი ტექნიკით შეიარაღებულ კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე. მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა საშუალება მოგვემარაგებინა სოფლის მეურნეობა ტრაქტორებით და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და, მაშასადამე, დავრჩებოდით უპუროთ.

ჩვენ მოკლებული ვიქნებოდით საშუალებას მოგვეპოვებინა გამარჯვება კაპიტალისტურ ელემენტებზე ჩვენს ქვეყანაში და, მაშასადამე, უაღრესად გავაძლიერებდით კაპიტალიზმის რესტავრაციის შანსებს.

მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა თავდაცვის ყველა თანამედროვე საშუალებანი, ურომლისოდაც შეუძლებელია ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ურომლისოდაც ქვეყანა ხდება გარეშე მტრების სამხედრო ოპერაციების ობიექტად მაშინ ჩვენი მდგომარეობა ცოტათ თუ ბევრად ისეთივე იქნებოდა. როგორც ახლანდელი ჩინეთის მდგომარეობა, რომელსაც არა აქვს საკუთარი მძიმე მრეწველობა, არა აქვს თავისი სამხედრო მრეწველობა და რომელსაც კორტნის ყველა, ვისაც კი არ ეზარება.

ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა სამხედრო ინტერვენცია, არა თავდაუსხმელობის პაქტები, არამედ ომი. ომი საშიში და სასიკვდილო, ომი სისხლიანი და უთანასწორო, ვინაიდან ამ ომში ჩვენ თითქმის უიარაღო ვიქნებოდით მტრების წინაშე, რომელთა განკარგულებაშიაც არის თავდასხმის ყველა თანამედროვე საშუალებანი.

აი როგორ მიმართულებას ღებულობს საქმე, ამხანაგებო.

ცხადია, რომ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას, რომელიც პატივს სცემს თავის თავს, პარტიას, რომელიც პატივს სცემს თავის თავს, არ შეეძლოთ დაედგომოდენ ასეთ დამღუპველ თვალსაზრისს.

და სწორედ იმიტომ, რომ პარტიამ უარყო ასეთი ანტირევოლუციონური თვალსაზრისი, სწორედ ამიტომ მიაღწია მან გადამწყვეტ გამარჯვებას მრეწველობის ხაზით ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში.

ხუთწლიანი გეგმის განხორციელების და სამრეწველო მშენებლობის დარგში გამარჯვების მოწყობის დროს, პარტია ატარებდა მრეწველობის განვითარების ყველაზე უფრო ჩქარი ტემპების პოლიტიკას. პარტია თითქოს მერეკებოდა ქვეყანას და აჩქარებდა მის რბენას წინ.

სწორად იქცეოდა თუ არა პარტია, როცა იგი ატარებდა ყველაზე უფრო სწრაფი ტემპების პოლიტიკას? დიახ. უსათუოდ სწორად.

არ შეიძლება არ დააჩქაროთ იმ ქვეყნის წინსვლა, რომელიც ჩამორჩა ასი წლით და რომელსაც მისი ჩამორჩენილობის გამო მოელის სასიკვდილო საფრთხე. მხოლოდ ამგვარად შეძლებოდა მიგვეცა ჩვენი ქვეყნისათვის, ახალი ტექნიკის ბაზაზე, სწრაფი ხელახალი შეიარაღების, და, ბოლოს, ფართო გზაზე გამოსვლის საშუალება. შემდეგ ჩვენ არ შეგვეძლო გვცოდნოდა, თუ რა დღეს დაესხმოდენ თავს იმპერიალისტები საბჭოთა კავშირს და შესწყვეტდენ ჩვენს მშენებლობას, ხოლო, რომ მათ ყოველ წუთში შეეძლოთ თავდასხმა, ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ - ეკონომიური სისუსტის გამო, ეს ყოველივე ეჭვს გარეშე იყო.

ამიტომ პარტია იძულებული იყო სწრაფი ნაბიჯით წაეყვანა ჩვენი ქვეყანა, რომ არ დაეკარგა დრო, მთლიანად გამოეყენებინა შესვენება და მოესწრო ინდუსტრიალიზაციის საფუძვლის შექმნა საბჭოთა კავშირში რაც წარმოადგენს მისი ძლიერების ბაზას. პარტიას არ ჰქონდა ლოდინის და მანევრების საშუალება და მას უნდა გაეტარებინა ყველაზე უფრო სწრაფი ტემპების პოლიტიკა.

ბოლოს, პარტიას შესაძლო მოკლე ვადაში ბოლო უნდა მოეღო ჩვენი ქვეყნის სისუსტისათვის, თავდაცვის დარგში. მომენტის პირობები, კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღების ზრდა. განიარაღების იდეის ჩაშლა. საერთაშორისო ბურჟუაზიის სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი — ყველაფერი ეს აიძულებდა პარტიას დაეჩქარებინა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის — მისი დამოუკიდებლობის საფუძვლის — გაძლიერების საქმე.

მაგრამ ჰქონდა თუ არა პარტიას რეალური შესაძლებლობა განეხორციელებია ყველაზე უფრო სწრაფი ტემპების პოლიტიკა? დიახ, ჰქონდა.

მას ჰქონდა ეს შესაძლებლობა არა მარტო იმიტომ, რომ მან მოასწრო თავის დროზე აემოძრავებია ქვეყანა სწრაფად წინსვლისათვის. არამედ პირველ ყოვლისა იმიტომ. რომ ფართო ახალი მშენებლობის საქმეში მას შეეძლო დაყრდნობოდა ძველ ან განახლებულ ქარხნებს და ფაბრიკებს, რომლებიც უკვე ათვისებული იყო მუშებისა და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის მიერ და რომლებიც ამის გამო, იძლეოდენ საშუალებას განგვეხორციელებია განვითარების ყველაზე უფრო სწრაფი ტემპები.

აი რა საფუძველზე აღმოცენდენ ჩვენში პირველი ხუთწლედის მანძილზე ახალი მშენებლობის სწრაფი განვითარება. გაშლილ მშენებლობის პათოსი, ახალმშენებლობათა გმირები და დამკვრელები, განვითარების სწრაფი ტემპების პრაქტიკა.

შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ მეორე ხუთწლედშიც მოგვიხდება ასეთივე ყველაზე უფრო სწრაფი ტემპების პოლიტიკის გატარება? არა, ამის თქმა არ შეიძლება.

ჯერ ერთი, ხუთწლედის წარმატებით ჩატარების შედეგად, ჩვენ ძირითადად უკვე შევასრულეთ მისი მთავარი ამოცანა — ახალი თანამედროვე ტექნიკის ბაზის შექმნა მრეწველობისათვის, ტრანსპორტისათვის, სოფლის მეურნეობისათვის. საჭიროა თუ არა ამის შემდეგ, რომ ჩვენ წინანდებურად ვერეკებოდით წინ ჩვენ ქვეყანას? ცხადია, რომ არა. ეს ეხლა საჭირო არ არის.

მეორე ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად, ჩვენ უკვე შევძელით სათანადო სიმაღლეზე დაგვეყენებია ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარი. საჭიროა თუ არა ამის შემდეგ, რომ ჩვენ წინანდებურად ვერეკებოდეთ წინ ჩვენს ქვეყანას? ცხადია, რომ ეს არ არის ეხლა საჭირო.

ბოლოს, ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად, ჩვენ შევძელით აგვეშენებია რამოდენიმე ათეული და ასეული ახალი დიდი ქარხნები და კომბინატები, რომლებსაც აქვთ ახალი რთული ტექნიკა,. ეს ნიშნავს იმას, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მხრივ მეორე ხუთწლედში ძირითად როლს შეასრულებენ არა უკვე ძველი ქარხნები, რომელთა ტექნიკა უკვე ათვისებულია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველი ხუთწლედის პერიოდში, არამედ ახალი ქარხნები, რომელთა ტექნიკა ჯერ კიდევ არ არის ათვისებული და რომლებიც უნდა ავითვისოთ. მაგრამ ახალი საწარმოების და ახალი ტექნიკის ათვისება წარმოადგენს გაცილებით მეტ სიძნელეებს, ვიდრე ძველი ან განახლებული ქარხნების და ფაბრიკების გამოყენება, რომელთა ტექნიკა უკვე ათვისებულია. იგი მოითხოვს მეტ დროს იმისათვის, რომ ავამაღლოთ მუშების და საინჟინრო ტექნიკურ პერსონალის კვალიფიკაცია და შევიძინოთ ახალი ჩვევები ახალი ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის. ყველა ამის შემდეგ განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ, ძალიანაც რომ გვდომებოდა, არ შეგვეძლო განგვეხორციელებია მეორე ხუთწლედის პერიოდში, განსაკუთრებით კი მეორე ხუთწლედის პირველი ორი წლის პერიოდში, განვითარების ყველაზე უფრო სწრაფი ტემპების პოლიტიკა.

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ მეორე ხუთწლედისათვის ჩვენ მოგვიხდება სამრეწველო პროდუქციის ზრდის უფრო ნაკლებად სწრაფი ტემპების აღება. პირველი ხუთწლედის პერიოდში სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა საშუალოდ შეადგენდა 22 პროცენტს. მე ვფიქრობ, რომ მეორე ხუთწლედისათვის მოგვიხდება სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდის საშუალოდ 13-14 პროცენტის აღება.

სამრეწველო პროდუქციის ასეთი ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის მიუღწეველ იდეალს წარმოადგენს. და არა მარტო სამრეწველო პროდუქციის ზრდის ასეთი ტემპი, — საერთოდ ხუთი პროცენტი ყოველწლიური საშუალო ნამატიც კი მათთვის ეხლა მიუწვდომელი იდეალია. მაგრამ სწორედ ამიტომ არიან ისინი კაპიტალისტური ქვეყნები; სულ სხვაა საბჭოთა ქვეყანა მეურნეობის საბჭოთა სისტემით. ჩვენი სისტემის მეურნეობის დროს ჩვენ გვაქვს სრული შესაძლებლობა განვახორციელოთ და კიდეც უნდა განვახორციელოთ პროდუქციის ყოველწლიური ზრდა 13-14 პროცენტით, როგორც მინიმუმი.

პირველი ხუთწლედის პერიოდში ჩვენ შევძელით ენტუზიაზმის შექმნა და გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიეთ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეხლა ეს არ კმარა. ეხლა ამ საქმეს უნდა დაუმატოთ ენტუზიაზმი. ახალი ქარხნების გამოყენების და ახალი ტექნიკის ათვისების პათოსი. შრომის ნაყოფიერების სერიოზულად ამაღლება. თვითღირებულების სერიოზულად შემცირება, ეს არის ეხლა მთავარი. რადგან მხოლოდ ამ ბაზაზე შეგვეძლია ჩვენ მივაღწიოთ, მაგალითად, მეორე ხუთწლედის მეორე ნახევრისათვის ახალ მძლავრ წინსვლას, როგორც მშენებლობის დარგში, ისე სამრეწველო პროდუქციის ზრდის დარგში.

და, ბოლოს, რამდენიმე სიტყვა პროდუქციის ყოველწლიური ზრდის თვით ტემპებისა და პროცენტების შესახებ. ჩვენი სამრეწველო მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს, მაშინ როცა მეტად საინტერესო საკითხია.

რას წარმოადგენს პროდუქციის ზრდის პროცენტები და სახელდობრ რა იფარება ზრდის ყოველ პროცენტში. ავიღოთ, მაგალითად, 1925 წელი, აღდგენითი პერიოდი. პროდუქციის წლიური ზრდა მაშინ 66 პროცენტს აღწევდა. მრეწველობის საერთო პროდუქცია შეადგენდა 7.700 მილიონ მანეთს. 66 პროცენტის ზრდა მაშინ აბსოლუტურ ციფრებში უდრიდა 3 მილიარდზე მეტს. მაშასადამე ზრდის თვითეული პროცენტი მაშინ შეადგენდა 43 მილიონ მანეთს. ავიღოთ ეხლა 1928 წელი. მან მოგვცა პროდუქციის ზრდა 26 პროცენტით, ესე იგი სამჯერ უფრო ნაკლები პროცენტით, ვიდრე 1925 წელმა. მრეწველობის საერთო პროდუქცია მაშინ შეადგენდა 15 500 მილიონ მანეთს. პროდუქციის წლიური ზრდა აბსოლუტურ ციფრებში 3.280 მილიონ მანეთს. მაშასადამე, ზრდის თვითეული პროცენტი უდრიდა 120 მილიონ მანეთს. ესე იგი შეადგენდა სამჯერ უფრო მეტ თანხას, ვიდრე 1925 წელს, როცა პროდუქცია გაიზარდა 66 პროცენტით. და, ბოლოს, ავიღოთ 1931 წელი. მან მოგვცა პროდუქციის ზრდა 22 პროცენტით ესე იგი სამჯერ უფრო ნაკლებით, ვიდრე 1925 წელმა. მრეწველობის საერთო პროდუქცია მაშინ შეადგენდა 30.600 მილიონ მანეთს. [illegible] პროდუქციის ზრდა აბსოლუტურ ციფრებში უდრიდა 5.600 მილიონ მანეთზე მეტს. მაშასადამე ზრდის თვითეული პროცენტი შეადგენდა 250 მილიონ მანეთზე მეტს ე. ი. ექვსჯერ უფრო მეტს, ვიდრე 1925 წ. როცა ჩვენ გვქონდა პროდუქციის ზრდა 66 პროცენტით და ორჯერ უფრო მეტს, ვიდრე 1928 წელს, როცა პროდუქცია გაიზარდა 26 პროცენტით.

რას გვეუბნება ყოველივე ეს? იმას, რომ პროდუქციის ზრდის ტემპების შესწავლის დროს არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ზრდის პროცენტების მხოლოდ საერთო თანხის განხილვით, საჭიროა ვიცოდეთ კიდევ რა იფარება თვითეულ პროცენტში და როგორია პროდუქციის წლიური ზრდის საერთო თანხა.

1933 წლისათვის ჩვენ ვითვალისწინებთ, მაგალითად, 16 პროცენტით ზრდას, ე. ი. ოთხჯერ უფრო ნაკლებს, ვიდრე 1925 წელს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროდუქციის ზრდა ამ წლის განმავლობაში ასევე ოთხჯერ ნაკლები იქნება. პროდუქციის ზრდა 1925 წელს აბსოლუტურ ციფრებში შეადგენს სამ მილიარდზე მეტს, ხოლო ზრდის თვითეული პროცენტი უდრის 43 მილიონ მანეთს. არა გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ პროდუქციის ზრდა 1933 წელს აბსოლუტურ ციფრებში ზრდის 16 პროცენტიანი ნორმის დროს შეადგენს არა ნაკლებ ხუთი მილიარდი მანეთისა ე. ი. თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე 1925 წელს, ხოლო ზრდის თვითეული პროცენტი მიაღწევს 320-340 მილიონ მანეთამდე მაინც, ე. ი. შეადგენს 7-ჯერ უფრო მეტ თანხას, ვიდრე ზრდის თვითეული პროცენტი 1925 წელს.

აი რა მიმართულებას ღებულობს საქმე, ამხანაგებო, თუ კონკრეტულად განვიხილავთ ზრდის ტემპებსა და პროცენტების საკითხს.

ასეთია ხუთწლედის გეგმის 4 წელიწადში განხორციელების შედეგები მრეწველობის დარგში.

### IV

## ხუთწლედის ოთხწელიწადში განხორციელების შედეგები სოფლის მეურნეობის დარგში

ეხლა გადავიდეთ საკითხზე ხუთწლედის ოთხწელიწადში განხორციელების შედეგების შესახებ სოფლის მეურნეობის დარგში.

ხუთწლედი სოფლის მეურნეობის დარგში არის კოლექტივიზაციის ხუთწლედი.

რას ემყარებოდა პარტია, როცა ატარებდა კოლექტივიზაციას. პარტია ემყარებოდა იმას, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, ინდუსტრიალიზაციის გარდა საჭიროა აგრეთვე წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობიდან გადასვლა ტრაქტორებით და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით მომარაგებულ მსხვილ კოლექტიურ სოფლის მეურნეობაზე, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ერთადერთ მტკიცე დასაყრდენზე სოფლად. პარტია ემყარებოდა იმას, რომ კოლექტივიზაციის გარეშე შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის გამოყვანა სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის აგების ფართო გზაზე, შეუძლებელია მრავალმილიონიანი მშრომელი გლეხობის ხსნა სიღატაკისა და უმეცრებისაგან.

ლენინი ამბობდა, რომ „წვრილი მეურნეობით გაჭირვებას ვერ დააღწევ თავს" (ლენინი, მე-3 გამოცემა ტ. 24, გვ. 540). ლენინი ამბობდა, რომ

„თუ ჩვენ ძველებურად დავრჩებით წვრილ მეურნეობებში, თუნდაც თავისუფალი მოქალაქენი თავისუფალ მიწაზე, ჩვენ სულ ერთია აუცილებელი დაღუპვა მოგველის". (ლენინი, მე-3 გამოცემა, ტ. 20 გვ. 417).

ლენინი ამბობდა , რომ

„მხოლოდ საერთო, საარტელო, საამხანაგო შრომის საშუალებით შეგვიძლია გამოვიდეთ იმ ჩიხიდან, რომელშიაც მოგვაქცია იმპერიალისტურმა ომმა" (ლენინი, მე-3 გამოცემა, ტ. 24, გვ. 537).

ლენინი ამბობდა, რომ

„საჭიროა გადავიდეთ მიწის საერთო დამუშავებაზე მსხვილ სანიმუშო მეურნეობებში, უამისოდ თავს ვერ დავაღწევთ იმ ნგრევას, იმ უაღრესად მძიმე მდგომარეობას, რომელშიაც რუსეთი იმყოფება" (ლენინი, მე-3 გამოცემა, ტ. 20 გვ. 418).

ემყარება რა ამას ლენინი მივიდა შემდეგ ძირითად დასკვნამდე:

„მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შევძლებთ და საქმით დაუმტკიცებთ გლეხობას საზოგადოებრივი, კოლექტიური, საამხანაგო, საარტელო დამუშავების უპირატესობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ გლეხობისათვის დახმარების გაწევას საამხანაგო, საარტელო მეურნეობის საშუალებით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხს თავის სიმართლეს, ნამდვილად და მტკიცედ გადმოიყვანს თავის მხარეზე გლეხთა მრავალ მილიონიან მასას".

ლენინის ამ დებულებებს ემყარებოდა პარტია, როცა ახორციელებდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროგრამას, ხუთწლედის პროგრამას სოფლის მეურნეობის დარგში.

ამასთან დაკავშირებით ხუთწლედის ამოცანა სოფლის მეურნეობის ხაზით მდგომარეობდა იმაში, რომ დაქუცმაცებული და წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი, რომლებიც მოკლებული იყვნენ ტრაქტორების და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების საშუალებას გაეერთიანებია მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, რომლებიც შეიარაღებული არიან უაღრესად განვითარებული სოფლის მეურნეობის ყველა თანამედროვე მანქანა-იარაღებით, ხოლო თავისუფალ მიწებზე მოეწყო სანიმუშო სახელმწიფო მეურნეობანი, — საბჭოთა მეურნეობანი. ხუთწლედის ამოცანა სოფლის მეურნეობის ხაზით მდგომარეობდა იმაში, რომ საბჭოთა კავშირი წვრილ გლეხური და ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაექცია კოლექტიური შრომის ბაზაზე მოწყობილ და მაქსიმალური საქონლიანობის მომცემ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად.

რას მიაღწია პარტიამ, რომელიც ახორციელებდა ხუთწლედის პროგრამას ოთხწელიწადში სოფლის მეურნეობის დარგში? შეასრულა მან ეს პროგრამა თუ კრახი განიცადა?

პარტიამ მიაღწია იმას, რომ რაღაც სამიოდე წლის განმავლობაში მან შესძლო მოეწყო 200 ათასზე მეტი კოლექტიური მეურნეობა და მარცვლეულის და მეცხოველეობის დაახლოებით 5 ათასი საბჭოთა მეურნეობა, ამავე დროს ოთხი წლის განმავლობაში სათესი ფართობი გაადიდა 21 მილიონი ჰექტარით.

პარტიამ მიაღწია იმას, რომ კოლმეურნეობები ახლა აერთიანებენ გლეხურ მეურნეობათა 60 %-ზე მეტს და ყველა გლეხურ მეურნეობათა ფართობის 70 პროცენტზე მეტს რაც ნიშნავს ხუთწლიანი გეგმის შესრულებას სამჯერ გადაჭარბებით.

პარტიამ მიაღწია იმას, რომ 500-600 მილიონი ფუთი სასაქონლო პურის ნაცვლად, რაც მზადდებოდა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ბატონობის პერიოდში, მას ახლა აქვს შესაძლებლობა ყოველწლიურად დაამზადოს 1.200—1.400 მილიონი ფუთი მარცვლეული.

პარტიამ მიაღწია იმას, რომ კულაკობა, როგორც კლასი, განადგურებულია, თუმცა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ მოსპობილი; მშრომელი გლეხობა განთავისუფლებულია კულაკური კაბალისა და ექსპლოატაციისაგან და საბჭოთა ხელისუფლებისათვის სოფლად შექმნილია მტკიცე ეკონომიური ბაზა, კოლექტიური მეურნეობის ბაზა.

პარტიამ მიაღწია იმას, რომ საბჭოთა კავშირი წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყნიდან უკვე გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

ასეთია საერთოდ ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები სოფლის მეურნეობის ხაზით.

ეხლა თქვენ თვითონ განსაჯეთ: რა ფასი აქვს ყოველივე ამის შემდეგ ბურჟუაზიული პრესის ლაყბობას კოლექტივიზაციის „კრახზე", ხუთწლიანი გეგმის „ჩაშლაზე" სოფლის მეურნეობის დარგში.

ხოლო როგორია სოფლის მეურნეობის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც ამჟამად განიცდიან საშინელ სასოფლო - სამეურნეო კრიზისს?

აი ყველასათვის ცნობილი ოფიციალური ცნობები:

„სათესი ფართობი პურის მწარმოებელ ძირითად ქვეყნებში შემცირებულია 8—10 პროცენტით. ბამბის სათესი ფართობი ჩრდ.-ამერ. შეერთებულ შტატებში შემცირებულია 15 პროცენტით, შაქრის ჭარხლის ფართობი გერმანიასა და ჩეხო-სლოვაკიაში, — 22—30 პროცენტით, სელის ფართობი ლიტვასა და ლატვიაში — 25—30 პროც.".

ამერიკის სასოფლო - სამეურნეო დეპარტამენტის ცნობებით, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულება ჩრდ.ამერ. შეერთებულ შტატებში 11 მილიარდი დოლარიდან 1929 წელს შემცირდა 5 მილიარდ დოლარამდე 1932 წელს, ე. ი. 50 პროცენტით და უფრო მეტად. იქვე მარცვლეულის საერთო პროდუქციის ღირებულება 1.288 მილიონი დოლარიდან 1929 წელს შემცირდა 391 მილიონ დოლარამდე 1932 წელს, ე. ი. 68 პროცენტით და უფრო მეტად. იქვე ბამბის საერთო პროდუქციის ღირებულება 1.389 მილიონი დოლარიდან 1929 წელს, შემცირდა 397 მილიონ დოლარამდე 1932 წელს, ე. ი. შემცირდა 70 პროცენტით და უფრო მეტად.

ხომ არ მოწმობენ ყველა ეს ფაქტები სოფლის მეურნეობის საბჭოთა სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემის წინაშე? ხომ არ მოწმობენ ეს ფაქტები იმას, რომ კოლმეურნეობანი წარმოადგენენ მეურნეობის უფრო სასიცოცხლო უნარის მქონე ფორმას, ვიდრე ინდივიდუალური და კაპიტალისტური მეურნეობანი.

ამბობენ, რომ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი არ არიან სავსებით რენტაბელური, რომ ისინი ნთქავენ დიდძალ სახსრებს, რომ ასეთ საწარმოთა არსებობას არა აქვს არავითარი გამართლება, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა დაგვეშალა ისინი და მათგან დაგვეტოვებია მხოლოდ რენტაბელური. მაგრამ ასე შეუძლიათ იმსჯელონ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც არაფერი არ გაეგებათ სახალხო მეურნეობის საკითხებში, ეკონომიკის საკითხებში. საფეიქრო საწარმოთა ნახევარზე მეტი რამდენიმე წლის წინად არ იყო რენტაბელური. ჩვენი ამხანაგების ერთი ნაწილი მაშინ გვიჩევდა დაგვეხურა ეს საწარმონი. რა დაგვემართებოდა, რომ ჩვენ დაგვეჯერებია მათთვის? ჩვენ ჩავიდენდით უდიდეს დანაშაულს ქვეყნის წინაშე, მუშათა კლასის წინაშე, ვინაიდან ამით გავანადგურებდით ჩვენს მრეწველობას, რომელიც დაადგა განვითარების გზას. როგორ მოვიქეცით მაშინ? ჩვენ დავიცადეთ ერთ წელზე ცოტა მეტი და მივაღწიეთ იმას, რომ მთელი საფეიქრო მრეწველობა გახდა რენტაბელური. ჩვენი ავტოქარხანა ქალაქ გორკში? არც ის არის ხომ ჯერჯერობით რენტაბელური? ხომ არ გვიბრძანებთ დავხუროთ იგი? ან ჩვენი შავი მეტალურგია, რომელიც აგრეთვე ჯერ ჯერობით არარენტაბელურია? ხომ არ დავხუროთ იგი ამხანაგებო! თუ ასე შევხედავთ რენტაბელობას. ჩვენ ყოველხრივ უნდა განგვევითარებია მრეწველობის მხოლოდ ზოგიერთი დარგები, რომლებიც ყველაზე მეტ რენტას იძლევიან, მაგალითად — საშაქარლამო მრეწველობა, ფქვილის მრეწველობა. საპარფიუმერიო და სატრიკოტაჟო მრეწველობა, სათამაშოების მრეწველობა და სხვ. მე, რა თქმა უნდა, არა ვარ მრეწველობის ამ დარგების განვითარების წინააღმდეგი, პირიქით, ისინი უნდა განვითარდენ, რადგან ეს დარგებიც საჭიროა მოსახლეობისათვის, მაგრამ, ჯერ ერთი, ისინი ვერ განვითარდებიან მოწყობილობის და სათბობის გარეშე, რომლებსაც მათ მძიმე ინდუსტრია აძლევს, მეორე, შეუძლებელია მათზე ინდუსტრიალიზაციის დაყრდნობა. აი რაშია საქმე ამხანაგებო. რენტაბელობას არ უნდა უყურებდეთ ჩარჩულად, ახლანდელი წუთის თვალსაზრისით. რენტაბელობა უნდა ავიღოთ საერთაშორისო მეურნეობის თვალსაზრისით, რამდენიმე წლისათვის. მხოლოდ ასეთ თვალსაზრისს შეუძლია ეწოდოს ნამდვილი ლენინური, ნამდ

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი მარქსისტული თვალსაზრისი. და ეს თვალსაზრისი სავალდებულოა არა მარტო მრეწველობის მიმართ, არამედ კიდევ უფრო მეტად კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მიმართ. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ: რაღაც სამიოდე წელში ჩვენ შევქმენით ორასი ათასზე მეტი კოლმეურნეობა და 5 ათასამდე საბჭოთა მეურნეობა, ესე იგი ჩვენ შევქმენით სრულიად ახალი მსხვილი საწარმონი, რომელთაც ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, სოფლის მეურნეობისათვის, როგორც აქვს ქარხნებს და ფაბრიკებს მრეწველობისათვის. დამასახელეთ ისეთი ქვეყანა, რომელმაც შესძლო შეექმნა სამი წლის განმავლობაში არა 205 ათასი ახალი მსხვილი საწარმო, არამედ თუნდაც 25 ათასი ასეთი საწარმო. ვერ დაასახელებთ, ვინაიდან არ არის და არ ყოფილა ასეთი ქვეყანა. ჩვენ კი შევქმენით 205 ახალი საწარმო სოფლის მეურნეობაში. და აი თურმე არიან ქვეყნად ისეთი ადამიანები, რომელნიც მოითხოვენ, რათა ეს საწარმონი ერთბაშად რენტაბელური გახდნენ, ხოლო თუ ისინი ერთბაშად ვერ გახდებიან რენტაბელური, დავანგრიოთ და დავშალოთ ისინი. განა ცხადი არ არის, რომ ჰეროსტრატის დაფნის გვირგვინი ძილს უფრთხობს ამ ახირებულ ადამიანებს?

როცა ვლაპარაკობთ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების არარენტაბელობაზე, მე სრულიადაც არ მინდა ვსთქვა, რომ ყველა ისინი არარენტაბელურია. არაფერი ამის მსგავსი; ჩვენ ვიცით, რომ უკვე ახლაც არის მთელი რიგი დიდად რენტაბელური კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი. ჩვენ გვაქვს უკვე ახლა სავსებით რენტაბელური მრავალი ათასი კოლმეურნეობა და მრავალი ათეული საბჭოთა მეურნეობა. ეს კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი წარმოადგენენ ჩვენი პარტიის სიამაყეს, საბჭოთა ხელისუფლების სიამაყეს.

კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რა თქმა უნდა, ყველგან ერთნაირი არ არის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის მოიპოვებიან ძველი, ახალი და სავსებით ახალგაზრდა მეურნეობანი. ეს ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ სავსებით ჩამოყალიბებული სამეურნეო ორგანიზაციებია. ისინი თავის ორგანიზაციულ მშენებლობაში განიცდიან დაახლოვებით ისეთივე პერიოდს, როგორსაც განიცდიდნენ ჩვენი ქარხნები და ფაბრიკები 1920-1921 წლებში. გასაგებია, რომ მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ არ შეიძლება იყოს რენტაბელური. მაგრამ ისინი რომ ორ-სამ წლის განმავლობაში ისევე გახდებიან რენტაბელურნი, როგორც გახდნენ რენტაბელური ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები 1921 წ. შემდეგ, ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. უარის თქმა მათ თავის დახმარების გაწევაზე და ხელისშეწყობაზე იმ საბუთით, რომ დღეს ყველა ისინი არ არიან რენტაბელურნი, ნიშნავს უდიდესი ბოროტმოქმედების ჩადენას მუშათა კლასის და გლეხობის მიმართ. მხოლოდ ხალხის მტრებს და კონტრრევოლიუციონერებს შეუძლიათ დასვან კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ზედმეტობის საკითხი.

ანხორციელებდა რა ხუთწლიან გეგმას სოფლის მეურნეობაში, პარტია დაჩქარებული ტემპებით ატარებდა კოლექტივიზაციას. სწორად იქცეოდა თუ არა პარტია, როცა ატარებდა კოლექტივიზაციის დაჩქარებული ტემპების პოლიტიკას? დიახ, სავსებით სწორად იქცეოდა, თუმცა აქ ადგილი ჰქონდა ერთგვარ გატაცებას.

პარტიას, ატარებდა რა იგი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის და კულაკური საბუდრების მოსპობის პოლიტიკას, არ შეეძლო შუა გზაზე შეჩერებულიყო, მას ბოლომდე უნდა მიეყვანა ეს საქმე. ეს ერთი.

მეორე, პარტიას, რომელსაც ერთი მხრით, მოეპოვებოდა ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები და რომელიც, მეორე მხრით, სარგებლობდა მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობით (მიწის ნაციონალიზაცია), ჰქონდა ყველა შესაძლებლობანი დაეჩქარებია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

და მან მართლაც მიაღწია ამ დარგში უდიდეს წარმატებას ვინაიდან სამჯერ გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმის პროგრამა კოლექტივიზაციის ხაზით.

ნიშნავს ეს, რომ ჩვენ უნდა გავატაროთ კოლექტივიზაციის დაჩქარებული ტემპების პოლიტიკა მეორე ხუთწლედის პერიოდშიაც? არა, არ ნიშნავს.

საქმე ის არის, რომ ძირითადათ უკვე დავამთავრეთ საბჭოთა კავშირის ძირითადი რაიონების კოლექტივიზაცია. მაშასადამე, ამ დარგში უფრო მეტი გავაკეთეთ, ვიდრე მოსალოდნელი იყო. და არა მარტო დავამთავრეთ ძირითადათ კოლექტივიზაცია, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ გლეხობის დიდი უმრავლესობის შეგნებაში კოლმეურნეობანი გადაიქცენ მეურნეობის ყველაზე მისაღებ ფორმად. ეს დიდი მიღწევაა, ამხანაგებო. ახლა კითხვა დგას უკვე არა იმის შესახებ—იყონ თუ არ იყონ კოლმეურნეობანი,—ეს კითხვა უკვე გადაჭრილია დადებითად. კოლმეურნეობანი შენარჩუნებული არიან და გზა ძველი ერთპიროვნული მეურნეობისაკენ საბოლოოდ დახურულია. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაციულად განვამტკიცოთ კოლმეურნეობანი, გავაძევოთ იქიდან მავნებლური ელემენტები, შევარჩიოთ ნამდვილი შემოწმებული ბოლშევიკური კადრები კოლმეურნეობებისათვის და გადავაქციოთ კოლმეურნეობანი ნამდვილად ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად. ესაა ახლა მთავარი. ასეთია მდგომარეობა სოფლის მეურნეობის დარგში ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში განხორციელების მხრივ.

## V

## ხუთწლედის ოთხწელიწადში განხორციელების შედეგები მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში

მე ზემოდ ვილაპარაკე წარმატებათა შესახებ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირში. რა შედეგები მივიღეთ ამ წარმატებათაგან მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით? რაში მდგომარეობს ჩვენი წარმატებების ძირითადი შედეგები მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის საფუძვლიანად გაუმჯობესების თვალსაზრისით?

იგი მდგომარეობს, — ჯერ ერთი, უმუშევრობის მოსპობაში და ხვალინდელ დღისადმი რწმენის უქონლობის ლიკვიდაციაში მუშებს შორის. მეორე, იგი მდგომარეობს იმაში, რომ საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩაბმულ იქნა თითქმის მთელი ღარიბი გლეხობა, რომ ამ საფუძველზე ნიადაგი გამოეცალა გლეხობის დაყოფას კულაკებად და ღარიბ გლეხებად და რომ, ამასთან დაკავშირებით ბოლო მოეღო გაღატაკებას და პაუპერიზმს სოფლად.

ეს, ამხანაგებო, უდიდესი მონაპოვარია, რომელზედაც არ შეუძლია ოცნებობა არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რაც არ უნდა „დემოკრატიული“ იყოს იგი.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში მუშებმა უკვე დიდი ხანია დაივიწყეს უმუშევრობა. სამი წლის წინად ჩვენ გვყავდა ერთნახევარ მილიონამდე უმუშევარი. უკვე ორი წელიწადია, რაც ჩვენ მოვსპეთ უმუშევრობა და ამ ხნის განმავლობაში მუშებმა უკვე დაივიწყეს იგი, მით გამოწვეული ჩაგვრა, მისი საშინელებანი.

შეხედეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რა საშინელებანი ხდება იქ უმუშევრობის ნიადაგზე. ამ ქვეყნებში ამჟამად 30—40 მილიონი უმუშევარია. რა ხალხია ეს? მათ შესახებ ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ეს „განწირული“ ხალხია. ისინი ყოველდღე დაეძებენ სამუშაოს და მზად არიან მიიღონ მუშაობის ყოველგვარი პირობები, მაგრამ მათ არ ღებულობენ სამუშაოზე, რადგან ისინი „ზედმეტი“ ხალხია და ეს იმ დროს, როცა საქონლისა და პროდუქტების უდიდესი მასა ფლანგდება ბედისაგან განებივრებულ კაპიტალისტთა და მემამულეთა შვილების კაპრიზების დასაკმაყოფილებლად. უმუშევრებს არ აძლევენ საჭმელს, რადგან მათ არ შეუძლიათ გადაიხადონ ამ საჭმლის ფასი, მათ არ აძლევენ თავშესაფარს, რადგან მათ არ შეუძლიათ ბინის ქირის გადახდა, როგორ ან სად ცხოვრობენ ისინი? ისინი ცხოვრობენ ბატონის უბადრუკი ნასუფრალით, ქექავენ სანაგვე ყუთებს, სადაც ისინი პოულობენ საჭმელის დამპალ ნარჩენებს, ცხოვრობენ დიდ ქალაქების ჯურღმულებში, ხოლო უმეტესად, ქალაქ გარეთ უმუშევრების მიერ ყუთების ფიცრებისა და ხის ქერქებისაგან სახელდახელოთ აგებულ ქოხმახებში.

ეს კიდევ ცოტაა. უმუშევრობისაგან იჩაგრებიან არა მარტო უმუშევრები. მისგან იჩაგრებიან აგრეთვე მუშები, რომლებსაც სამუშაო აქვთ. იჩაგრებიან იმიტომ, რომ უამრავი უმუშევარის არსებობა მათთვის ქმნის მერყევ მდგომარეობას წარმოებაში. ხვალინდელ დღისადმი რწმენის უქონლობას. დღეს ისინი მუშაობენ საწარმოში. მაგრამ არ არიან დარწმუნებული, რომ ხვალ გამოღვიძებისთანავე არ გაიგებენ, რომ დათხოვნილი არიან სამუშაოდან.

ხუთწლედის ოთხწელიწადში განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მონაპოვარს წარმოადგენს ის, რომ ჩვენ მოვსპეთ უმუშევრობა და საბჭოთა კავშირის მუშები ვიხსენით მისი საშინელებათაგან.

იგივე უნდა ითქვას გლეხების შესახებ. მათაც აგრეთვე დაავიწყდათ გლეხობის დაყოფა კულაკებად და ღარიბ გლეხებად, ღარიბ გლეხობის ექსპლოატაცია კულაკის მხრივ, გაღატაკება, რომელიც ყოველ წელს მათხოვრად ხდიდა ასი ათასობით და მილიონობით ღარიბ გლეხებს. სამი-ოთხი წლის წინად ჩვენ გლეხობას შორის ღარიბი გლეხი იყო მთელი გლეხური მოსახლეობის დაახლოებით 30 პროც. ეს შეადგენდა ათი მილიონზე მეტ ადამიანს. ხოლო კიდევ უფრო ადრე, ოქტომბრის რევოლიუციამდე, ღარიბი გლეხები შეადგენდენ გლეხური მოსახლეობის 60 პროცენტს.

ვინ არიან ღარიბი გლეხები? ეს ისეთი ხალხია, რომლებსაც მეურნეობისათვის ჩვეულებრივ არ ყოფნიდა ან თესლი, ან ცხენები, ან იარაღები, ან არ ყოფნიდა ყველა ეს საგნები, ერთად აღებული. ღარიბი გლეხები ეს ისეთი ხალხია, რომელიც ნახევრად მშიერად ცხოვრობდენ და, როგორც წესი, იმყოფებოდენ კულაკის კაბალში, ხოლო ძველ დროს, კულაკისა და მემამულის კაბალში. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინად ერთ ნახევარი მილიონი ან შეიძლება მთელი ორი მილიონი ღარიბი გლეხი ყოველწლიურად მიდიოდა საშოვარზე სამხრეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში და უკრაინაში კულაკებთან ქირაზე სამუშაოთ, ხოლო უფრო წინად კულაკებთან და მემამულეებთან ქირაზე სამუშაოდ. კიდევ უფრო მეტი ღარიბი გლეხი მიდიოდა ყოველწლიურად ქარხნების ჭიშკრებთან, ავსებდა რა უმუშევართა რიგებს. და არა მარტო ღარიბი გლეხები იმყოფებოდენ ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში. საშუალო გლეხების თითქმის ნახევარი ისეთსავე გაჭირვებას და შევიწროვებას განიცდიდა, როგორც ღარიბი გლეხობა. ყველაფერი ეს უკვე დაივიწყეს გლეხებმა.

რა მისცა ხუთწლედის ოთხწლიწადში განხორციელებამ ღარიბ გლეხებს და საშუალო გლეხთა დაბალ ფენებს? მან ძირი გამოუთხარა კულაკობას და დაამარცხა იგი, როგორც კლასი, გაანთავისუფლა რა ღარიბი გლეხები და საშუალო გლეხთა ნახევარი კულაკური კაბალისაგან. მან ჩააბა ისინი კოლმეურნეობებში და შეუქმნა მათ მტკიცე მდგომარეობა. ამით მან მოსპო გლეხობის ფენებად დაყოფის შესაძლებლობა, მათი ექსპლოატატორ კულაკებად და გაყვლეფილ ღარიბ გლეხებად დაყოფის შესაძლებლობა. ღარიბი გლეხობა და საშუალო გლეხთა დაბალი ფენები მან კოლმეურნეობებში აიყვანა უზრუნველყოფილ ხალხის მდგომარეობამდე, მოსპო რა ამით გლეხობის გაღატაკების და გაპარტახების პროცესი. ეხლა ჩვენში უკვე აღარ არის ისეთი შემთხვევები, რომ გლეხთა მილიონები ყოველ წელს სტოვებდენ თავის ადგილს და საშოვრებზე მიდიოდენ შორეულ მხარეებში. იმისათვის, რომ გლეხი გადაიყვანო სამუშაოზე სადმე, მისი საკუთარი კოლმეურნეობის გარეთ, ეხლა საჭიროა ხელშეკრულება დადო კოლმეურნეობასთან და, გარდა ამისა, უზრუნველჰყო კოლმეურნე უფასო მგზავრობით რკინის გზაზე. ეხლა უკვე ჩვენში აღარ არის ისეთი შემთხვევები, რომ ასიათასობით და მილიონობით გლეხები იღატაკებდენ და ატუზული იყვნენ ფაბრიკის და ქარხნების კარებთან. ეს ასე იყო, მაგრამ დიდი ხანია მოისპო, ამჟამად გლეხი უზრუნველყოფილი მეურნეა და წევრია კოლმეურნეობის, რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს ტრაქტორები, სას.-სამ. მანქანები, სათესლე ფონდები, სამარაგო ფონდები და სხვადასხვა.

ამ ძირითად მონაპოვართა შედეგად მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხაზით პირველ ხუთწლედში ჩვენ გვაქვს:

ა) მძიმე მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის ერთი-ორად ზრდა 1928 წელთან შედარებით, რაც იძლევა ხუთწლიანი გეგმის 57 პროც. გადაჭარბებით შესრულებას.

ბ) სახალხო შემოსავლის და, მაშასადამე, მუშათა და გლეხთა შემოსავლის ზრდა, რომელმაც 1932 წელს 45,1 მილიარდ მანეთამდი მიაღწია. რაც იძლევა 85 პროც. მომატებას 1928 წელთან შედარებით.

გ) მსხვილი მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასის ზრდა 1928 წელთან შედარებით 67 პროც., რაც ნიშნავს ხუთწლედის 18 პროც. გადაჭარბებით შესრულებას.

დ) სოციალური დაზღვევის ფონდის ზრდა 1928 წელთან შედარებით 292 პროც. (4.120 მილიონი მან. 1932 წელს. ნაცვლად 1050 მილ. მანეთისა 1928 წელს), რაც ნიშნავს ხუთწლიანი გეგმის 111 პროც. გადაჭარბებით შესრულებას.

ე) საზოგადოებრივ კვების ზრდა, მრეწველობის გადამწყვეტ დარგებში მუშათა 70 პროცენტისათვის მომსახურების გაწევით, რაც ნიშნავს ხუთწლედის 6-ჯერ გადაჭარბებით შესრულებას.

რასაკვირველია, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ სავსებით უზრუნველვყოთ მუშათა და გლეხთა მატერიალური მოთხოვნილებანი და არა გვგონია, რომ ამას მივაღწიოთ უახლოეს წლებში. მაგრამ ჩვენ უეჭველად მივაღწიეთ იმას, რომ მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობა ჩვენში წლიდან-წლამდე უმჯობესდება. ამაში შეუძლიათ ეჭვი შეიტანონ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტრებს, კიდევ ბურჟუაზიული პრესის ზოგიერთ წარმომადგენლებს, მათ შორის ამ პრესის კორესპონდენტების ერთ ნაწილს მოსკოვში, რომელთაც ხალხთა ეკონომიკაში და მშრომელთა მდგომარეობაში იმდენივე გაეგებათ, რამდენიც აბესინიის ნეგუსს უმაღლეს მათემატიკაში.

ხოლო როგორია მუშათა და გლეხთა მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში?

აი ოფიციალური ცნობები.

უმუშევართა რიცხვი კაპიტალისტურ ქვეყნებში კატასტროფიულად გაიზარდა. შეერთებულ შტატებში ოფიციალური ცნობებით მარტო დამამუშავებელ მრეწველობაში მუშათა რიცხვი—1928 წელს არსებულ 8,5 მილიონ კაციდან შემცირდა 5,5 მილიონამდე 1932 წელს. ამერიკის შრომის ფედერაციის ცნობებით კი უმუშევართა რიცხვი შეერთებულ შტატების მთელს მრეწველობაში 1932 წლის დამლევს 11 მილიონ კაცამდე აღწევდა. ინგლისში უმუშევართა რიცხვი ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 1928 წელს არსებულ 1290 ათასიდან გაიზარდა 2,8 მილიონ კაცამდე 1932 წელს. გერმანიაში ოფიციალური ცნობების მიხედვით უმუშევართა რიცხვი 1928 წელს არსებულ 1.376 ათასიდან გაიზარდა 5,5 მილიონამდე 1932 წელს. ასეთსავე სურათს ვხედავთ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში და, ამავე დროს, ოფიციალური სტატისტიკა, როგორც მიღებულია, ამცირებს ცნობებს უმუშევართა შესახებ, რომელთა რაოდენობა კაპიტალისტურ ქვეყნებში 35-დან 40 მილიონ კაცამდე აღწევს.

სისტემატიურად ტარდება მუშათა ხელფასის შემცირება. ოფიციალური ცნობებით ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში საშუალო თვიური ხელფასის შემცირებამ, 1928 წლის დონესთან შედარებით, მიაწია 35 პროცენტს; ინგლისში იმავე ხანის განმავლობაში—15 პროცენტს, ხოლო გერმანიაში—50 პროცენტსაც კი. ამერიკის შრომის ფედერაციის გამოანგარიშებით, ამერიკელმა მუშებმა ხელფასის შემცირების შედეგად 1930—31 წლებში დაკარგეს 35 მილიონ დოლარზე მეტი.

საგრძნობლად შემცირდა ინგლისის და გერმანიის მუშების ისედაც უმნიშვნელო დაზღვევის ფონდი. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებსა და საფრანგეთში სრულიად არ არის ან თითქმის არ არის მუშათა დაზღვევის რაიმე ფორმები, რის გამო კოლოსალურად იზრდება უსახლკარო მუშების და უპატრონო ბავშვების რიცხვი, განსაკუთრებით კი ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში.

უკეთესად არ არის საქმე გლეხობის მდგომარეობის მხრივ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო კრიზისი ძირფესვიანად არყევს გლეხურ მეურნეობას და რამდენიმე მილიონ გაღატაკებულ გლეხებს, და ფერმერებს ქუჩაში ყრის.

ასეთია ხუთწლედის ოთხ წლიწადში შესრულების შედეგები საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში.

## VI

## ხუთწლედის ოთხწელიწადში შესრულების შედეგები ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვის დარგში

ეხლა გადავიდეთ ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვის ზრდის დარგში ხუთწლედის 4 წელიწადში შესრულების შედეგების საკითხზე.

მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის უდიდესი ზრდის, ზედმეტი საქონლის ზრდის როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, ბოლოს, მუშების და გლეხების მოთხოვნილებათა ზრდის—ყველა ამას არ შეეძლო არ გამოეწვია, და ნამდვილად გამოიწვია კიდეც, საქონლის ბრუნვის გაცოცხლება და გაფართოება ქალაქსა და სოფელს შორის.

საწარმოო კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის არის კავშირის ძირითადი ფორმა. მაგრამ მარტო საწარმოო კავშირი არ არის საკმაო. იგი უნდა შევავსოთ საქონლური კავშირით იმისათვის, რომ კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის გახდეს მტკიცე და განუყრელი. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ვაჭრობის გაშლის გზით.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ საბჭოთა ვაჭრობის გაშლა შესაძლებელია რომელიმე ერთი არხის მეშვეობით, მაგალითად, კოოპერაციის მეშვეობით. საბჭოთა ვაჭრობის გასაშლელად საჭიროა გამოყენებულ იქნეს ყველა არხები—კოოპერატიული ქსელიც, სახელმწიფო-სავაჭრო ქსელიც და საკოლმეურნეო ვაჭრობაც.

ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ საბჭოთა ვაჭრობის გაშლა, განსაკუთრებით კი საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლა, არის დაბრუნება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიისაკენ. ეს სრულიადაც არ არის სწორი.

საბჭოთა ვაჭრობის, კერძოდ, საკოლმეურნეო ვაჭრობის, შორის და ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის ვაჭრობის შორის არსებობს რადიკალური განსხვავება, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ სტადიაზე ჩვენ ვუშვებდით კაპიტალიზმის გამოცოცხლებას. ვუშვებდით კერძო საქონლის ბრუნვას, ვუშვებდით კერძო ვაჭრების, კაპიტალისტების, სპეკულიანტების „მოღვაწეობას“.

ეს იყო ცოტად თუ ბევრად თავისუფალი ვაჭრობა, მხოლოდ შეზღუდული სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლით. წინ კერძო კაპიტალისტურ სექტორს საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა ჩვენი ქვეყნის საქონლის ბრუნვაში. მე უკვე არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ წინ ჩვენ არ გვქონდა, არც ისეთი განვითარებული მრეწველობა, როგორც ეხლა, არც კოლმეურნეობები, არც საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მუშაობენ გეგმით, წარმოებენ და აძლევენ სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და საქალაქო ნაწარმის უდიდეს რეზერვებს.

შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ჩვენ ეხლა გვაქვს ასეთი მდგომარეობა? რასაკვირველია, ამის თქმა არ შეიძლება.

ჯერ ერთი, არ შეიძლება ერთ დაფაზე დავაყენოთ საბჭოთა ვაჭრობა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის ვაჭრობა, თუმცა ამ უკანასკნელს აწესრიგებდა სახელმწიფო. თუ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის ვაჭრობა უშვებდა კაპიტალიზმის გამოცოცხლებას და კერძო კაპიტალისტური სექტორის არსებობას საქონლის ბრუნვაში, საბჭოთა ვაჭრობა უარყოფს როგორც ერთს, ისე მეორესაც. რა არის საბჭოთა ვაჭრობა? საბჭოთა ვაჭრობა არის ვაჭრობა დიდი და პატარა კაპიტალისტების გარეშე, ვაჭრობა დიდი და პატარა სპეკულიანტების გარეშე. ეს განსაკუთრებული სახის ვაჭრობაა, რომელსაც დღემდე არ იცნობდა ისტორია და რომელსაც ვაწარმოებთ მხოლოდ ჩვენ, ბოლშევიკები, საბჭოთა განვითარების პირობებში.

მეორე,—ეხლა ჩვენ გვაქვს საკმაოდ განვითარებული სახელმწიფო მრეწველობა და კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მთელი სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლის უდიდეს რეზერვებს საბჭოთა ვაჭრობის გასაშლელად. ეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის პირობებში.

მესამე, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში სრულიად განვდევნეთ საქონლის ბრუნვიდან კერძო ვაჭრები და ყოველგვარი შუამავლები.

რა თქმა უნდა, ეს არ უარყოფს, იმას, რომ, ატავიზმის კანონის ძალით, შეიძლება საქონლის ბრუნვაში კვლავ გაჩნდენ კერძო ვაჭრები და სპეკულიანტები, რომელნიც ამისათვის გამოიყენებენ მათთვის ყველაზე უფრო მოხერხებულ ასპარეზს, სახელდობრ საკოლმეურნეო ვაჭრობას. უფრო მეტი, თვითონ კოლმეურნენი ზოგჯერ მზად არიან გასწიონ სპეკულიაცია, რაც მათ, რა თქმა უნდა, სასახელო საქმედ ვერ ჩაეთვლებათ. მაგრამ ამ არა ჯანსაღ მოვლენათა წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ ცოტა ხნის წინად გამოცემული კანონი სპეკულიაციის აღკვეთისა და სპეკულიანტების დასჯის ზომების შესახებ. თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ამ კანონს არ ახასიათებს განსაკუთრებული ლმობიერება. თქვენ, რა თქმა უნდა, გაიგებთ, რომ ასეთი კანონი არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის პერიოდში. თქვენ ხედავთ, რომ ილაპარაკო ამის შემდეგ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის ვაჭრობისაკენ დაბრუნების შესახებ—ნიშნავს: ვერაფერი, სრულიად ვერაფერი გაიგო ჩვენს საბჭოთა ეკონომიკაში.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ შეუძლებელია ვაჭრობის გაშლა, თუნდაც ის საბჭოთა ვაჭრობას წარმოადგენდეს, ჯანსაღი ფულადი მეურნეობის და ჯანსაღი ვალიუტის გარეშე, რომ, პირველყოვლისა, საჭიროა [illegible] ფულად მეურნეობას, და ჩვენს საბჭოთა ვალიუტას, რომელიც ვითომ, არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ასე გვეუბნებიან ჩვენ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომისტები. მე ვფიქრობ, რომ ამ პატივცემულ ეკონომისტებს იმაზე მეტი არ გაეგებათ პოლიტიკური ეკონომიაში, ვიდრე, ვსთქვათ, კენტერბერის არქიეპისკოპოსს ანტირელიგიურ პროპაგანდაში. როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჩვენი საბჭოთა ვალიუტა არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს? განა ფაქტი არ არის, რომ ამ ვალიუტით ვაშენებდით მაგნიტოგორსკს, დნეპროსტროის, კუზნეცკსტროის, სტალინგრადის და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნებს, გორკის და მოსკოვის საავტომობილო ქარხნებს, ასეულ ათას კოლმეურნეობებს და ათასეულ საბჭოთა მეურნეობებს. ხომ არ ფიქრობენ ეს ვაჟბატონები, რომ ყველა ეს საწარმოები აშენებულია ჩალით ან თიხით და არა ნამდვილი მასალით, რომელსაც განსაზღვრული ღირებულება აქვს. რითაა უზრუნველყოფილი საბჭოთა ვალიუტის სიმტკიცე, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში მივიღებთ მოწესრიგებულ ბაზარს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის საქონლის ბრუნვაში, და არა მოუწესრიგებელ ბაზარს, რომელსაც მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს? რა თქმა უნდა, არა მარტო ოქროს მარაგით,—საბჭოთა ვალიუტის სიმტკიცე უზრუნველყოფილია, პირველყოვლისა, სახელმწიფოს ხელში არსებული საქონლის მასის დიდძალი რაოდენობით, რომელიც მტკიცე ფასებით შედის საქონლის ბრუნვაში. რომელ ეკონომისტს შეუძლია უარყოს, რომ ასეთი უზრუნველყოფა, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში, წარმოადგენს ვალიუტის სიმტკიცის უფრო რეალურ უზრუნველყოფას, ვიდრე ოქროს რომელიმე მარაგი. გაიგებენ თუ არა როდისმე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომისტები, რომ ისინი საბოლოოდ დაიბნენ ოქროს მარაგის, როგორც ვალიუტის სიმტკიცის ერთადერთი უზრუნველყოფის, თეორიით.

ასე სდგას საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საბჭოთა ვაჭრობის გაშლასთან.

რას მივაღწიეთ ჩვენ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად საბჭოთა ვაჭრობის გაშლის დარგში?

ხუთწლედის შედეგად ჩვენ გვაქვს:

ა) მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გადიდება, რამაც მიაღწია 180 პროცენტამდე 1928 წელთან შედარებით.

ბ) საცალო კოოპერატიულ - სახელმწიფოებრივ საქონლის ბრუნვის ზრდა, რაც ამჟამად შეადგენს 39,6 მილიარდ მანეთს 1932 წ. ფასებში ე. ი. საქონლის მასის გადიდება საცალო ვაჭრობაში 175 პროცენტამდე 1928 წელთან შედარებით.

გ) სახელმწიფოებრივ - კოოპერატიულ ქსელის ზრდა 158 ათასი დუქნით და მაღაზიით 1929 წელთან შედარებით.

დ) საკოლმეურნეო ვაჭრობის და ცალკე სახელმწიფოებრივი და კოოპერატიულ ორგანიზაციების სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა სულ უფრო და უფრო გაშლა.

ასეთია ფაქტები.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს საქონლის ბრუნვის მდგომარეობა კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, სადაც კრიზისმა გამოიწვია ვაჭრობის კატასტროფიული შემცირება, საწარმოთა მასიურად დახურვა და წვრილ და საშუალო ვაჭრების გაკოტრება, მსხვილი სავაჭრო ფირმების გაკოტრება და სავაჭრო საწარმოებში ზედმეტი საქონლის დაგროვება, მშრომელი მასების სყიდვითი უნარის სულ უფრო და უფრო დაცემის დროს.

ასეთია ხუთწლედის ოთხწელიწადში განხორციელების შედეგები საქონლის ბრუნვის განვითარების ხაზით.

## VII

## ხუთწლიანი გეგმის ოთხწელიწადში შესრულების შედეგები კლასიური მტრების ნაშთებთან ბრძოლის დარგში

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის დარგში ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში დავამკვიდრეთ სოციალიზმის პრინციპი და განვდევნეთ იქიდან კაპიტალისტური ელემენტები.

რა უნდა გამოეწვია ამას კაპიტალისტური ელემენტების მიმართ და რა გამოიწვია ნამდვილად.

ამან გამოიწვია ის, რომ კალაპოტიდან ამოვარდნილი აღმოჩნდენ მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთები: მრეწველები და მათი მსახურნი, ვაჭრები და მათი დამქაშები, ყოფილი აზნაურები და ხუცები, კულაკები და მოკულაკონი, ყოფილი თეთრი ოფიცრები და ჩაფრები, ყოფილი პოლიციელები და ჟანდარმები, სხვადასხვა ჯურის ბურჟუაზიულ შოვინისტური ინტელიგენტები და ყველა დანარჩენი ანტისაბჭოთა ელემენტები.

ეს ყოფილი ადამიანები, რომლებიც ამოვარდენ კალაპოტიდან და დაიფანტენ მთელს საბჭოთა კავშირში, დაიქსაქსენ ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებში, ჩვენს დაწესებულებებსა და სავაჭრო ორგანიზაციებში, რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტის საწარმოებში და, უმთავრესად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დაიქსაქსენ და მიძვრენ იქ, აიფარეს რა „მუშების“ და „გლეხების“ ნიღაბი, ამასთან ზოგიერთი მათგანი პარტიაშიაც კი შეძვრა. რით შევიდენ ისინი იქ? რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილის გრძნობით, მეურნეობის, ყოფა-ცხოვრების და კულტურის ახალი ფორმებისადმი შეურიგებელი მტრული დამოკიდებულების გრძნობით.

ამ ვაჟბატონებს უკვე აღარ ძალუძთ პირდაპირი იერიში მიიტანონ საბჭოთა ხელისუფლებაზე, ისინი და მათი კლასები არა ერთხელ გაემართნენ იერიშზე, მაგრამ დამარცხდენ და გაიფანტნენ. ამიტომ მათ დარჩენიათ მხოლოდ ერთი რამ, საქმე გაუფუჭონ და ავნონ მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა ხელისუფლებას, პარტიას. და ისინი მოქმედობენ ფარულად, შეპარვით და რამდენადაც შეუძლიათ საქმეს გვიფუჭებენ. ცეცხლს უკიდებენ საწყობებს და ამტვრევენ მანქანებს, აწყობენ საბოტაჟს, აწყობენ მავნებლობას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ამასთან ზოგიერთი მათგანი, რომელთა შორის პროფესორებიც არიან, თავის მავნებლურ მისწრაფებაში იქამდე მიდის, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვს უცრის ჭირს, ციმბირის წყლულს, ხელს უწყობს მენინგიტის გავრცელებას ცხენებს შორის და სხვ. მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ამ ყოფილი ადამიანების „მოღვაწეობაში“ არის ის, რომ ისინი აწყობენ სახელმწიფოებრივ ქონების, კოოპერატიულ ქონების, საკოლმეურნეო საკუთრების მასიურ ქურდობას და მტაცებლობას. ქურდობა და მტაცებლობა ფაბრიკებსა და ქარხნებში, რკინის გზის ტვირთების ქურდობა და მტაცებლობა, ქურდობა და მტაცებლობა საწყობებსა და სავაჭრო საწარმოებში, განსაკუთრებით, ქურდობა და მტაცებლობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.— ასეთია ამ ყოფილი ადამიანების „მოღვაწეობის“ ძირითადი ფორმა. ისინი თითქოს კლასობრივი ინსტიქტით გრძნობენ, რომ საბჭოთა მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება, რომ სწორედ ამ საფუძვლის შერყევაა საჭირო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ზიანის მისაყენებლად,—და ისინი მართლაც ცდილობენ შეარყიონ საზოგადოებრივი საკუთრება მასიური ქურდობის და მტაცებლობის მოწყობის გზით. მტაცებლობის მოსაწყობად ისინი იყენებენ კოლმეურნეების გუშინდელ ინდივიდუალურ მეურნეების, ეხლა კი კოლმეურნეთა წევრების კერძო მესაკუთრეობრივ ჩვევებს და ნაშთებს. თქვენ, როგორც მარქსისტებმა, უნდა იცოდეთ, რომ ადამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება მათ ფაქტიურ მდგომარეობას.

კოლმეურნეები მდგომარეობით— უკვე არიან არა ინდივიდუალური მეურნეები, არამედ კოლექტივისტები, მაგრამ მათ ჯერჯერობით ძველი, კერძო - მესაკუთრეობრივი შეგნება აქვთ. და აი ყოფილი ადამიანები გამყვლეფელ კლასთა რიგებიდან იყენებენ კოლმეურნეთა კერძო მესაკუთრეობრივ ჩვეულებებს, რათა მოაწყონ საზოგადოებრივი ქონების დატაცება და მით შეარყიონ საბჭოთა წყობილების საფუძვლები — საზოგადოებრივი საკუთრება. ბევრი ჩვენი ამხანაგი გულგრილად უცქერის ასეთ მოვლენებს, მათ არ ესმით მასიური ქურდობისა და მტაცებლობის ფაქტების აზრი და მნიშვნელობა. ისინი, როგორც ბრმები, გვერდს უვლიან ამ ფაქტებს და ფიქრობენ, რომ „აქ არაფერი განსაკუთრებული არ არის“. მაგრამ ისინი, ეს ამხანაგები, ღრმად ცდებიან. ჩვენი წყობილების საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება, ისე, როგორც კაპიტალიზმის საფუძველს — კერძო საკუთრება. თუ კაპიტალისტებმა კერძო საკუთრება გამოაცხადეს წმინდა და ხელშეუხებლად, მიაღწიეს რა თავის დროზე კაპიტალისტური წყობილების განმტკიცებას, ჩვენ, კომუნისტებმა, მით უფრო უნდა გამოვაცხადოთ საზოგადოებრივი საკუთრება წმინდად და ხელშეუხებლად, რათა ამ გზით განვამტკიცოთ მეურნეობის ახალი სოციალისტური ფორმები წარმოებისა და ვაჭრობის ყველა დარგში, საზოგადოებრივი საკუთრების — სულ ერთია იქნება ეს სახელმწიფოებრივი საკუთრება, თუ კოოპერატიული, ან საკოლმეურნეო საკუთრება — ქურდობისა და მტაცებლობის დაშვება და ასეთი კონტრრევოლიუციური უმსგავსოებათა უყურადღებოდ დატოვება ნიშნავს ხელი შევუწყოთ საბჭოთა წყობილების ძირის გამოთხრას, რომელიც ეყრდნობა საზოგადოებრივ საკუთრებას, როგორც თავის ბაზას. ამ თვალსაზრისიდან გამოდიოდა ჩვენი საბჭოთა მთავრობა, როცა მან ამას წინად გამოსცა კანონი საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის შესახებ. ეს კანონი არის რევოლიუციური კანონიერების საფუძველი ამჟამად. ხოლო მისი მტკიცედ გატარება ცხოვრებაში ყოველი კომუნისტის, თვითეული მუშის და კოლმეურნის უპირველესი მოვალეობაა. ამბობენ, რომ ჩვენი დროის რევოლიუციური კანონიერება არაფრით არ განირჩევა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის რევოლიუციური კანონიერებისაგან, რომ ჩვენი დროის რევოლიუციური კანონიერება არის დაბრუნება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის რევოლიუციური კანონიერებისაკენ. ეს სრულიად არ არის სწორი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის რევოლიუციური კანონიერება თავისი მახვილით მიმართული იყო, უმთავრესად, სამხედრო კომუნიზმის უკიდურესობათა წინააღმდეგ, „უკანონო“ კონფისკაციების და გადასახადების წინააღმდეგ. იგი კერძო მეურნისათვის, კაპიტალისტისათვის უზრუნველჰყოფდა მათი ქონების დაცვას იმ პირობით, თუ ისინი ზედმიწევნით შეასრულებდნენ საბჭოთა კანონებს. სულ სხვანაირადაა რევოლიუციური კანონიერების საქმე ჩვენს დროში. ჩვენი დროის რევოლიუციური კანონიერება თავისი მახვილით მიმართულია ქურდებისა და მავნებლების წინააღმდეგ, ხულიგნების და საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებლების წინააღმდეგ. რევოლიუციური კანონიერების ძირითადი საზრუნავი ჩვენს დროში არის საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა და არა სხვა რამე. აი ამიტომ ბრძოლა საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის, ბრძოლა ყველა ღონისძიებებით და საშუალებებით, რომელთაც გვაძლევენ საბჭოთა ხელისუფლების კანონები, პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. პროლეტარიატის მაგარი და მძლავრი დიქტატურა — აი რა გვჭირდება ახლა იმისათვის, რომ გავაცამტვეროთ მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთები და მოვსპოთ მათი მტაცებლური მახინაციები.

ზოგიერთმა ამხანაგმა თეზისი კლასების მოსპობის, უკლასო საზოგადოების შექმნის და სახელმწიფოს კვდომის შესახებ, გაიგო, როგორც სიზარმაცის და უდარდელობის გამართლება, კლასობრივ ბრძოლის თანდათანობით ჩაქრობის და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შესუსტების კონტრრევოლიუციური თეორიის გამართლება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ ადამიანებს არ შეუძლიათ ექნეთ რაიმე საერთო ჩვენს პარტიასთან. ესენი არიან გადაგვარებული ელემენტები ან თვალთმაქცები, რომლებიც უნდა გავაძევოთ პარტიიდან. კლასების მოსპობას მიღწევა შეიძლება არა კლასობრივი ბრძოლის თანდათანობით ჩაქრობით, არამედ მისი გაძლიერებით. სახელმწიფო მოკვდება არა სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტებით, არამედ მისი მაქსიმალური გაძლიერებით, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ბოლომდე გავანადგუროთ მომაკვდავი კლასების ნაშთები და მოვაწყოთ თავდაცვა კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი და არც მალე მოისპობა.

ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საბოლოოდ განვდევნეთ ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასების უკანასკნელი ნაშთები მათი საწარმოო პოზიციებიდან, გავანადგურეთ კულაკობა და მოვამზადეთ ნიადაგი მისი მოსპობისათვის. ასეთია ხუთწლედის შედეგი ბურჟუაზიის უკანასკნელ რაზმებთან ბრძოლის დარგში. მაგრამ ეს ცოტაა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ადამიანები გავდევნოთ ჩვენივე საკუთარი საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან და საბოლოოდ გავხადოთ ისინი უვნებელნი. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ყოფილ ადამიანებს შეეძლოთ რისამე შეცვლა თავიანთი მავნებლური და მტაცებლური მახინაციებით საბჭოთა კავშირის ეხლანდელ მდგომარეობაში. ისინი ერთობ სუსტნი და უძლურნი არიან იმისათვის, რომ დაუპირისპირდენ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს. მაგრამ, თუ ჩვენი ამხანაგები არ გამოიჩენენ რევოლიუციურ სიფხიზლეს და არ განდევნიან პრაქტიკიდან ობივატელურ - უდარდელ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი საკუთრების ქურდობისა და მტაცებლობის ფაქტებისადმი, ყოფილ ადამიანებს შეუძლიათ ბევრი სისაძაგლის ჩადენა. სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს სიძლიერის ზრდა გააძლიერებს მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი კვდებიან და სულს ღაფავენ, ისინი თავდასხმების ერთი ფორმიდან გადადიან მეორე ფორმაზე, თავდასხმების უფრო მწვავე ფორმაზე, გამოიყენებენ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს და დარაზმავენ მათ

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. არ არის ისეთი სისაძაგლე, და ცილისწამება რომელიც ამ ყოფილმა ადამიანებმა არ მიაწერონ საბჭო ხელისუფლებას და რომლის გარშემოც არ შეეცადონ ჩამორჩენილი ელემენტების მობილიზაციას. ამ ნიადაგზე შეიძლება გამოცოცხლდნენ და ამოძრავდნენ ძველი კონტრრევოლიუციური პარტიებიც, ესერების, მენშევიკების, ცენტრის და განაპირა მხარეების ბურჟუაზიული ნაციონალისტების დამარცხებული ჯგუფები, შეიძლება გამოცოცხლდნენ და ამოძრავდნენ კონტრრევოლიუციური ოპოზიციური ელემენტების ნაშთებ. ტროცკისტების და მემარჯვენე ოპორტუნისტების წრიდან. ეს, რა თქმა უნდა, საშიში არ არის. მაგრამ ყოველივე ეს სახეში უნდა ვიქონიოთ, თუ გვსურს ბოლო მოვუღოთ ამ ელემენტებს სწრაფად და რაიმე საგრძნობი მსხვერპლის გაუღებლად. აი ამიტომ რევოლიუციური სიფხიზლე წარმოადგენს იმ თვისებას, რაც განსაკუთრებით საჭიროა ახლა ბოლშევიკებისათვის.

## VIII

# საერთო დასკვნები

ასეთია ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ძირითადი შედეგები მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში, მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების და საქონლის ბრუნვის განვითარების დარგში, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების და მომაკვდავი კლასების ნარჩენების და ნაშთების წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის გაშლის დარგში.

ასეთია საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და მონაპოვარნი უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ამ წარმატებათა საფუძველზე რომ ჩვენში ყველაფერი რიგზეა. რა თქმა უნდა, ჩვენში ყველაფერი რიგზე როდია. დეფექტები, შეცდომები ჩვენს მუშაობაში საკმაოდ მოგვეპოვება. უყაირათობას და უთავბოლობას ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს პრაქტიკაში. მე, სამწუხაროდ, არ შემიძლია შევჩერდე დეფექტებზე და შეცდომებზე, რადგან ჩემზე დაკისრებული შემაჯამებელი მოხსენების ფარგლები ამისათვის გასაქანს არ იძლევიან. მაგრამ ახლა საქმე ამაში არ არის. საქმე იმაშია, რომ მიუხედავათ დეფექტებისა და შეცდომებისა, რომელთა არსებობას არც ერთი ჩვენთაგანი არ უარყოფს, ჩვენ მივაღწიეთ ისეთ სერიოზულ წარმატებებს, რომელნიც იწვევენ აღტაცებას მთელ მსოფლიოს მუშათა კლასში, ჩვენ მივაღწიეთ ისეთ გამარჯვებას, რომელსაც ჭეშმარიტად მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. რას შეეძლო ეთამაშა და რამ ითამაშა ნამდვილად მთავარი როლი იმაში, რომ, შეცდომების და დეფექტების მიუხედავათ, პარტიამ მაინც მიაღწია გადამწყვეტ წარმატებებს ხუთწლიანი გეგმის 4 წლიწადში განხორციელების მხრივ?

სადაა ის ძირითადი ძალები, რომლებმაც ყველაფრის მიუხედავათ უზრუნველყვეს ეს ისტორიული გამარჯვება?

ესაა პირველყოვლისა აქტივობა და თავდადება, ენტუზიაზმი და ინიციატივა მუშათა და კოლმეურნეთა მილიონებიანი მასებისა, რომლებიც საინჟინერო-ტეხნიკურ ძალებთან ერთად ანვითარებენ კოლოსალურ ენერგიას სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გასაშლელად. უეჭველია, რომ ამ გარემოების გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევდით მიზანს, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდით წინ.

მეორე, ესაა მტკიცე ხელმძღვანელობა პარტიის და მთავრობის მხრით, რომელნიც მოუწოდებდნენ მასებს წინ და სძლევდნენ ყველა და ყოველგვარ სიძნელეს მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

ბოლოს, ესაა განსაკუთრებული ღირსებანი და უპირატესობანი მეურნეობის საბჭოთა სისტემისა, რომელიც შეიცავს ყველა და ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად საჭირო კოლოსალურ შესაძლებლობებს. ასეთია სამი ძირითადი ძალა, რომელმაც განსაზღვრა საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვება.

საერთო დასკვნები:

1. ხუთწლედის შედეგებმა დაამსხვრიეს ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეთა მტკიცება იმის შესახებ, რომ ხუთწლიანი გეგმა არის ფანტაზია, ბოდვა, განუხორციელებელი ოცნება; ხუთწლედის შედეგებმა გვიჩვენეს რომ ხუთწლიანი გეგმა უკვე განხორციელდა.

2. ხუთწლედის შედეგებმა დაამსხვრიეს ცნობილი ბურჟუაზიული „სიმბოლო სარწმუნოებისა" იმის შესახებ, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია ახალის აშენება, რომ მას შეუძლია მხოლოდ დანგრევა ძველის. ხუთწლედის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ მუშათა კლასს შეუძლია ახალის ისევე კარგად შენება, როგორც ძველის ნგრევაც.

3. ხუთწლედის შედეგებმა დაამსხვრიეს სოციალ-დემოკრატების თეზისი იმის შესახებ, რომ შეუძლებელია სოციალიზმის აშენება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში. ხუთწლედის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ სავსებით შესაძლებელია სოციალისტური საზოგადოების აშენება ერთ ქვეყანაში, ვინაიდან ასეთი საზოგადოების ეკონომიური საძირკველი უკვე აშენებულია საბჭოთა კავშირში.

4. ხუთწლედის შედეგებმა დაამსხვრიეს ბურჟუაზიული ეკონომისტების მტკიცება იმის შესახებ, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა წარმოადგენს საუკეთესო სისტემას, რომ მეურნეობის ყოველგვარი სხვა სისტემა არ არის მტკიცე და მას არ შეუძლია დაიჭიროს გამოცდა ეკონომიური განვითარების სიძნელეთა წინაშე.

ხუთწლედის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა უვარგისია და არამტკიცე, რომ იგი მოძველდა და მან თავისი ადგილი უნდა დაუთმოს მეურნეობის მეორე, უმაღლეს, საბჭოთა, სოციალისტურ სისტემას, რომ მეურნეობის ერთად ერთი სისტემა, რომელსაც კრიზისების არ ეშინია და შეუძლია გადალახოს კაპიტალიზმისათვის გადაუჭრელი სიძნელენი, — ესაა მეურნეობის საბჭოთა სისტემა.

5. ბოლოს, ხუთწლედის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ პარტია უძლეველია, თუ მან იცის საით წარმართოს საქმე და თუ მას სიძნელეების არ ეშინია. (ტაშისცემა, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. დარბაზი ფეხზე ამდგარი ესალმება ამხ. სტალინს).

## საზღვარგარეთ

# ინგლის-საფრანგეთი მხარს უჭერს
## იაპონიის აგრესიას შორეულ აღმოსავლეთში

**პარიზი**, 9 იანვარი. ამხ. გაბრიელ პერი „ლიუმანიტე"-ში სწერს:

„ამ ბოლო დროს ჟენევაში გავრცელებული იყო ხმები, რომ გასული წლის გაზაფხულზე ერთა-ლიგის სესიის დროს იაპონია დასთანხმდა შანხაის ევაკუაციაზე მხოლოდ მას შემდეგ, როცა საფრანგეთმა და ინგლისმა მას მისცეს მტკიცე დაპირება რომ მომავალში იაპონიის გეგმების განხორციელება ჟეხეს პროვინციის მიმართ მათი მხრით არავითარ დაბრკოლებას არ შეხვდებოდა. ამხ. პერი დასძენს, რომ ეს ხმები ამ დღეებში მას დაუდასტურეს მისი ლონდონში ყოფნის დროს". (ადს).

**შანხაი**, 9 იანვარი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო „სენტრალ ნიუს ეჯენსი" იტყობინება, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა იკისრეს ვალდებულება ხელი არ შეუშალონ იაპონიის გეგმების [illegible] თუ იაპონიის ჯარი გაყვანილი იქნება შანხაიდან. ამ ცნობას ბრიტანეთის წრეები უწოდებენ [illegible] მტრულად შეხვდნენ (ადს).

### ვან ტინ-ვეის განცხადება

**ბერლინი** 9 იანვარი. „იზვესტია"-ს საკუთარი კორესპონდენტი იუწყება:

ვან ტინ-ვეი—ჩინეთის წინანდელი პრემიერ-მინისტრი, რომელიც დროებით იმყოფება სანატორიუმში ქალაქ ტიუბინგენში, ამერიკელ [illegible] უბრის დროს აცხადებს, [illegible] განაგრძობს შეტევას ჩრდილოეთ ჩინეთზე და უშუალოდ ემუქრება ბეიპინს. თუ ერთა ლიგაში შემავალი დიდი სახელმწიფოები დაუყოვნებლივ არ მიიღებენ გადამწყვეტ ზომებს, ჩინეთი გადამწყვეტ წინააღმდეგობას გაუწევს იაპონიას. ყოველგვარ ცდას დაიპყრას ჩინეთის ტერიტორია, მშვიდობიანობის დამყარება შეუძლებელი გახდება, თუ ჩინეთი ამ ბრძოლაში დამარცხდება. იაპონიის სურს ჩინეთი გადააქციოს თავის ეკონომიურ ბაზად ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ტოკიო გაბედავს ომს ამერიკასთან. ვან ტინ-ვეი მიუთითებს, რომ იაპონია ჩქარობს დაიპყრას ჟეხე მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ „19-ის კომიტეტის" მომავალ სხდომაზე (16 იანვარს ჟენევაში) ცხადყოს თავისი ძალა. იაპონიის სურს დაამტკიცოს როგორც სახელმწიფოების ისე ერთა-ლიგის უძლურება (ადს).

# ეკონომიური კრიზისის შედეგები
### უდიდესი ორთქლმავლების საამშენებლო ქარხნის დახურვა პოლონეთში

**ვარშავა**, 9 იანვარი. („იზვესტია"-ს საკ. ინფ.) პოლონეთმა, როგორც ცნობილია დეკემბერში უარი განაცხადა შეერთებულ შტატებისათვის ვალის პროცენტების გადახდაზე. ეხლა, როგორც სჩანს, შეერთებულ შტატების მთავრობასთან შეთანხმებით, ამერიკის ბანკმა „მელონმა" მანქანების საამშენებლო ქარხნის „ლევენშტეინ"-ისაგან მოითხოვა მისთვის მიცემული კრედიტის—16 მილიონი დოლარის დაბრუნება. ამის გამო პოლონეთის უდიდესი მანქანების სამშენებლო ქარხანა დაიხურა. მოსამსახურეებს უკვე გამოუცხადეს ამის შესახებ. ქარხანა ვაგონების და ორთქლმავლების მთავარი მიმწოდებელი პოლონეთის რკინის გზებისათვის (ადს).

# ბრძოლა ბარსელონის ქუჩებზე

**პარიზი**, 9 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ 8 იანვარს ბარსელონაში რამდენჯერმე მოხდა შეტაკება მუშათა დემონსტრაციებსა და პოლიციელებს შორის. სააგენტო აღნიშნავს რომ ორივე მხარემ მიმართა იარაღს და რომ დემონსტრანტები ისროდნენ რევოლვერებს და ყუმბარებს. მოკლულია სამი კაცი. დაჭრილია მრავალი. დემონსტრანტებმა სცადეს ყაზარმების ხელში ჩაგდება. ამ ცდის დროს მოკლეს 6 დემონსტრანტი. დაიჭირა [illegible]. პრეფექტურის შენობასთან დადგმულია ტყვიამფრქვევები. ქუჩაში მოძრაობა შეწყვეტილია [illegible] განაგრძობენ სროლას სახლების [illegible]

[illegible] განმავლობაში მოხდა ახალი შეტაკება პოლიციასთან, რომლის დროს მოკლეს და დაჭრეს რამდენიმე კაცი. პოლიციამ [illegible] სხვადასხვა ადგილას. კერძოდ [illegible] შენობაში აღმოაჩინა მრავალი ყუმბარა (ადს).

# რუმინეთის მთავრობის კრიზისი

**ვენა**, 9 იანვარი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, მანიუს მთავრობის მდგომარეობა შეირყა იმის გამო, რომ მთავრობის პარტიის შიგნით გამწვავდა უთანხმოება, რომელიც გამოხატავს რუმინეთის ბურჟუაზიაში რუმინეთის მთელ რიგ ძირითად პრობლემების გარშემო არსებულ ინტერესთა წინააღმდეგობებს. გუშინ დაჟინებით გავრცელდა ხმები მთავრობის მოსალოდნელი კრიზისის შესახებ. მთავრობის კრიზისის უშუალო მიზეზად მიაჩნიათ კონფლიქტი მეფესა და მთავრობას შორის, რასაც გაზეთები საგანგებოდ გამოშვებულ ნომრებში გადმოგვცემენ. გაზეთების სიტყვით, ეს კონფლიქტი იმითაა გამოწვეული, რომ მეფემ უარი თქვა გაენთავისუფლებია თანამდებობიდან უშიშროების უფროსი, გენერალი დიმიტრესკუ, რომლის გადადგომას მოითხოვდა შინაგან საქმეთა მინისტრი მიხალაკე. მიხალაკე ამავე დროს მოითხოვდა მეფისაგან გადაყენებული ყოფილიყო ბუქარესტის პოლიციის უფროსად დანიშნული პოლკოვნიკი მარინესკუ, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს სასახლის წრეების მახლობელ პირს. მეფემ უარყო ეს მოთხოვნაც, რის შემდეგ მიხალაკე გადადგა. პრემიერ-მინისტრმა მანიუმ განაცხადა, რომ მთელი მთავრობა მხარს უჭერს მიხალაკეს.

დღემდე ჯერ კიდევ არ არის ოფიციალური განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ, ვინაიდან მანიუმ გადაწყვიტა დასვას კონფლიქტის საკითხი ნაციონალ-ცარანისტების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ სხდომაზე.

# ურყევი საფუძველი ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისათვის
### „ლივერპულ პოსტ ენდ მერკიური" საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმის შესახებ

**ლონდონი**, 9 იანვარი. ლივერპულის გაზეთი „ლივერპულ პოსტ ენდ მერკური" საბჭოთა ხუთწლიანი გეგმის შედეგების შესახებ სწერს, რომ ხუთწლედის შედეგები „წარმოადგენენ ურყევ საფუძველს ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისათვის". „ეს ქვეყანა,—სწერს შემდეგ გაზეთი,—რამდენიმე წელიწადში გადაიქცა მრეწველობის მსოფლიო ცენტრად, შექმნა რა ინდუსტრიალური საფუძველი. საბჭოთა რეჟიმმა გადასჭრა ხუთწლიანი გეგმის პირველი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიური ამოცანა" გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე „გეგმის გრანდიოზულ მიღწევებს სოციალურ და კულტურულ სფეროებში" (ადს).

# უმუშევართა მძლავრი დემონსტრაცია გერმანიაში
### „პური და სათბობი"

**ბერლინი**, 9 იანვ. საქსონიის ქალაქებში—ვურცენში, პლაუენში, ფრანკენბერგში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში ადგილი ჰქონდა უმუშევართა მძლავრ დემონსტრაციებს ქუჩებში. ფრანკენბერგში უმუშევრები ორი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ აწყობდნენ დემონსტრაციებს მუნიციპალიტეტის შენობის წინ. დემონსტრანტები მოითხოვდნენ პურს და სათბობს. ამ დემონსტრაციების ზეგავლენით, მუნიციპალიტეტი იძულებული გახდა გადაედო 10 ათასი მარკა უმუშევრებისათვის დაუყოვნებლივ დახმარების გასაწევად.

ეიდენში (ან-ვერის რაიონი) და დოლმენგორსტში (ოლდენბურგი) უმუშევრებმა მოაწყვეს მშიერი ლაშქრობა.

მუშათა დემონსტრაცია გაიმართა აგრეთვე ვალდენბურგში (ტიურინგია). უმუშევართა მძლავრი დემონსტრაციები მოეწყო ბერლინის გარეუბნებში—პანკოვში, მარიენდორფში და შულცენდორფში. პანკოვში პოლიციამ რეზინის ჯოხებით შეუტია მუშებს. შულცენდორფში მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე იძულებული იყო შეჰპირებოდა დემონსტრანტებს, რომ უმუშევართა თითოეულ ოჯახს დაუყოვნებლივ დაურიგებს ორ-ორ ცენტნერ ქვანახშირს (ადს).

### ბერლინის მშრომელი მოსახლეობის გაღატაკება

**ბერლინი**, 9 იანვარი. ბერლინის მშრომელი მოსახლეობის გაღატაკებისათვის დამახასიათებელია ფოსტის სამინისტროს ცნობები, რომელთა მიხედვით 1932 წლის 1 იანვრიდან სექტემბრამდე 100 ათასმა აბონენტმა უარი განაცხადა ტელეფონით სარგებლობაზე ქირის შესატანად სახსრების უქონლობის გამო (ადს).

# ფაშისტების მუქარა
## კომპარტიის წინააღმდეგ

**ბერლინი**, 9 იანვარი. გუშინ ნაციონალ სოციალისტებმა ლიუსტგარტენში მოაწყვეს მშიერი რაზმების დემონსტრაცია. დემონსტრაციის დროს სიტყვა წარმოსთქვა ნაციონალ-სოციალისტთა ბერლინის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გებელსმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ჰიტლერი უკვე მიუახლოვდა ხელისუფლებას".

ჰიტლერის მომხრე ახალგაზრდობის ხელმძღვანელმა ბალდურმა წარმოსთქვა გესლიანი სიტყვა კომპარტიის წინააღმდეგ. ბალდურმა განაცხადა, რომ „თვითეული ნაციონალ-სოციალისტის მოკვლისათვის ჩამოხრჩობილ იქნება 50 კომუნისტი" (ადს).

# ბონკური ამერიკისათვის ვალის გადახდის მომხრეა
### ფრონტელთა ბანკეტზე

**პარიზი**, 9 იანვარი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ბონკურმა ყოფ. ფრონტელთა ბანკეტზე სენტ-ეტიენში (ლუარის დეპარტამენტი) წარმოსთქვა სიტყვა რომელშიაც, სხვათა შორის, განაცხადა:

„ჩვენ ვითვალისწინებთ იმ სერიოზულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლებას ახალი მთავრობა ჩაუდგა ჩრდილოეთ-ამერიკისათვის ვალის გადახდის ვადის გასვლის წინ. ამ გადასახდელის შეტანას ვერავითარი მთავრობა ვერ აუხვევდა გვერდს და იგი უნდა შევიტანოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ჩვენი ვალდებულების შეუსრულებლობა".

# „ტან"-ი გერმანიის ახალ დირიჟაბლის შესახებ

**პარიზი**, 9 იანვარი. „ტან"-ი იუწყება, რომ გერმანიის ახალი დირიჟაბლი „ლც—129", რომელიც ამჟამად შენდება, გაცილებით უფრო დიდი იქნება, ვიდრე დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინი". ახალ დირიჟაბლს სიგრძე ექნება 246 მეტრი, ხოლო დიამეტრი ყველაზე უფრო ფართო ნაწ. 41 მეტრი. დირიჟაბლში იქნება 16 დახურული კაბინი, ეკიპაჟისა და მგზავრებისათვის შენობები განაწილებული იქნება ორ ერდოზე. ზედა ერდოზე მოეწყობა სასადილო, თამბაქოს მოსაწევი ოთახი და საერთო დარბაზი. ქვედა ნაწილში—კაბინები მგზავრებისათვის, კაბინები ეკიპაჟისათვის, აბაზანები და სხვ. დირიჟაბლი „ლც-129" იავსება ჰელიუმით. მას ექნება 4 მოტორი 800—1000 ცხენის ძალისა თვითეული. ეს შესაძლებლობას მისცემს დირიჟაბლს განავითაროს 130-150 კილომეტრის სისწრაფე საათში (ადს).

# სატყეო სარეწაო კოოპერაციის პირველი ყრილობა

გუშინ გაიხსნა საქართველოს სატყეო სარეწაო კოოპერაციის პირველი ყრილობა. ჩვენს პირობებში, სადაც სატყეო მეურნეობას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია სახალხო მეურნეობაში, სატყეო სარეწაო კავშირის მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სატყეო სარეწაო კავშირი იბრძვის სოფლის დაქსაქსულ ტყის მუშაკთა და ხე-ტყის გადამამუშავებელ წვრილ საწარმოო ერთეულთა გასაერთიანებლად და მათ დასარაზმავად მთლიან საწარმოო სისტემაში.

რა მიღწევებით ეგებება სატყეო კავშირი თავის 1-ლ ყრილობას, როგორია კავშირის მორიგი ამოცანები? სატყეო სარეწაო კავშირი, როგორც დამოუკიდებელი სისტემა, მეტად ახალგაზრდა ორგანიზაციაა. მან მუშაობა დაიწყო როგორც ცალკეულმა ერთეულმა, 1932 წლის სექტემბრიდან. კავშირის წინაშე დასმული იქნა შემდეგი ამოცანები: ფართო მოხმარების საგნების დამზადების მაქსიმალურად გაძლიერება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ცალკე შინა-მრეწველთა მასიურად შეკავშირება და მათი უზრუნველყოფა ნედლეულით, მანქანა-იარაღებით და სათანადო ტეხნიკური ხელმძღვანელობით მუშაობის გაშლა განსაკუთრებით ადგილობრივ არა დეფიციტურ ნედლეულზე და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო სარეწაო კავშირმა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გადასჭრა ყველა ეს ამოცანები, მაგრამ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში, რაც კი კავშირი არსებობს, მას აქვს ზოგიერთი თვალსაჩინო მიღწევა.

კავშირი აწარმოებს მუშაობას მხოლოდ ადგილობრივ, არა დეფიციტურ ნედლეულზე, ხე-ტყის დამზადების გეგმა შესრულებულია 122 პროცენტით, ხე-ტყის გამოზიდვის დავალება — 110,4 პროცენტით, საექსპორტო პროდუქციის დამზადება — გადამუშავების გეგმა კი — 103 პროცენტით. ეს მიღწევები სატყეო სარეწაო კავშირმა მოიპოვა უმთავრესად სოციალისტური შრომის ახალი მეთოდების ფართო გამოყენებით, არტელების სპეციალიზაციის გატარებით, და თავის გაერთიანების მოწინავე ძალების აქტიური ბრძოლით გეგმების შესასრულებლად.

ამასთან ერთად, სატყეო კავშირის მუშაობაში უნდა აღინიშნოს მთელი რიგი დეფექტებიც. მათ შორის მთავარია გეგმის შეუსრულებლობა ფართო მოხმარების საგნების გამოშვების დარგში, სატყეო კავშირს უნდა გამოეშვა 15.321 ათასი მანეთის პროდუქცია, აქედან ფართო მოხმარების საქონელი უნდა ყოფილიყო 9.681 ათასი მანეთის. ნამდვილად კი ბაზარზე 11 თვეში კავშირმა გამოუშვა 3.843 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი; ამ დარგში გეგმა შესრულდა 39,7 პროცენტით.

კავშირს დასახული ჰქონდა მიზნად შინა - მრეწველთა გაერთიანება 2903 კაცის რაოდენობით, ნამდვილად კი 11 თვეში კავშირმა შეაკავშირა 1793 კაცი. ამ გარემოებამ უარყოფითი დაღი დაასვა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმების შესრულებისათვის ბრძოლას. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ ჩამორჩენა, რომელიც სატყეო კავშირს აქვს შეშის დამზადების დარგში. 73 ათასი კუბ. მეტრი შეშის ნაცვლად დამზადებულია 58 ათასი კუბ. მეტრი, ხოლო 70.500 კ. მ. ნაცვლად გამოზიდულია — 43177 კუბ. მეტრი შეშა.

სად უნდა ვეძებოთ სატყეო კავშირში გეგმების შეუსრულებლობის მიზეზები? ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ხე-ტყეზე მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობების მოუწყობლობა. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მომმარაგებელი ორგანიზაციები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ცენტრიდან მრავალი მითითება მიიღეს ხე-ტყეზე მომუშავეთა ინდუსტრიალურ მუშებთან გათანაბრების შესახებ მომარაგების მხრივ, ვერ აფასებდნენ ხე-ტყის წარმოების მნიშვნელობას და სისტემატიურად გვერდს უხვევდნენ ხე-ტყეზე მომუშავეთა მომარაგების საქმეს. ამან გამოიწვია მუშა-ხელის დიდი ცვალებადობა. საუკეთესო კვალიფიკაციის მუშები გადადიოდნენ სხვა წარმოებებში. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების ზოგიერთი ადგილობრივი წარმომადგენელნი უხეშად არღვევდნენ პარტიის დირექტივებს, რომელიც გვავალებს ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი შინამრეწველობის ფართოდ განვითარებას. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც შინა-მრეწველთა [illegible] სახელოსნოს ბინებს და ქუჩაში მიერეკებოდნენ. მაგ.: ქუთაისში არტელ „იმედი"-ს ერთ-ერთი სახელოსნო მიმდინარე წლის იანვარში ქუჩაში გამოისტუმრეს და ვერავითარმა პროტესტმა ვერ გასჭრა, რომ არტელისათვის მიეცათ ნორმალური მუშაობის საშუალება. ასეთივე ფაქტს ჰქონდა ადგილი სამტრედიაში და სტალინირში.

ფართო მოხმარების საქონლის დამზადების გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია აგრეთვე სატყეო კავშირის მოუმარაგებლობამ დამხმარე მასალით. (ლურსმანი, წებო, საკეტავები, რკინა, და სხვ.). კავშირის მოთხოვნილება ამ მხრივ დაკმაყოფილებული იქნა მხოლოდ 29,1 პროცენტით სატყეო კავშირი ხშირად იძულებული იყო დამხმარე საქონელი შეეძინა გეგმის გარეშე და მეტად მაღალ ფასებში.

ასეთია ზოგადად სატყეო სარეწაო კავშირის მდგომარეობა ჩვენში. კავშირის პირველმა ყრილობამ, რომელიც თავის ყურადღებას შეაჩერებს ყველა ამ მომენტებზე, გადამწყვეტი გარდატეხა უნდა შეიტანოს ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაში. არსებულ მიღწევათა საფუძველზე, ყრილობა დასახავს მორიგ ღონისძიებებს დეფექტების აღმოსაფხვრელად და სატყეო სარეწაო კოოპერაციის იმ საფეხურზე ასაყვანად, რომელსაც მოითხოვს ჩვენი ქვეყნის გაშლილი სოციალისტური მშენებლობა.

ლ. ქეზურია.

# მატარებლებმა უნდა იმოძრაონ მტკიცე ცხრილის მიხედვით
### 10 იანვრიდან ა.-კ. რკ. გზებზე გამოცხადებულია მატარებლების ცხრილის მიხედვით მოძრაობისათვის ბრძოლის ოცდღიური

მატარებლების დაწესებული ცხრილის მიხედვით მოძრაობის მტკიცედ დაცვა რკინის გზ. ტრანსპორტის მუშაობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ობიექტთაგანია; და მასზეა პირდაპირ დამოკიდებული ტვირთზიდვის გეგმების წარმატებით შესრულება.

ა.-კ. რკ. გზებზე მატარებლების ცხრილის მიხედვით მოძრაობის მხრივ მეტად არასასურველი და პირდაპირ აღმაშფოთებელი მდგომარეობა გვაქვს. ცხრილის მიხედვით მატარებლების მოძრაობის პროცენტი იმდენად მცირეა, რომ საკვირველია როგორ ახერხებს გზა ასეთ პირობებში რაიმე მუშაობის წარმოებას.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამოდენიმე [illegible] მიმდინარე წლის პირველი ათი დღის განმავლობაში სატვირთო მატარებლების მოძრაობა ცხრილის მიხედვით არ აღემატებოდა საშუალოდ 30 პროცენტს, ხოლო ცალკე შემთხვევებში იგი უდრიდა 26 პროცენტს (1 იანვარს), 29 პროც. (3 იანვარს); ყველაზე მეტი პროცენტი (40) მოგვცა 6 იანვარმა. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა მესამე და მე-2 საექსპლოატაციო რაიონებში; მესამე რაიონში საშუალოდ მხოლოდ მატარებლების 20—25 პროცენტი მოძრაობს ცხრილის მიხედვით, მე-2 რაიონში კი იგი არ აღემატება 30 პროცენტს. არის დღეები, როდესაც მე-3 რაიონში მხოლოდ მატარებლების, 8. 10. 12. პრ. მოძრაობს ცხრილის მიხედვით (4, 5. 8 იანვარი). ხოლო მეორე რაიონში მაქსიმალური პროცენტი შეადგენს 32-ს. თვით პირველ და მეოთხე რაიონებშიაც არ არის სახარბიელო მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუშაობის მხრივ დანარჩენ რაიონებთან შედარებით ნაკლებად არიან დატვირთულნი. პირველ რაიონში ცხრილის მიხედვით მოძრაობს საშუალოდ მატარებლების 70 პროც. მეოთხეში კი —50 პროც.

თუ ასეთია მდგომარეობა სატვირთო მატარებლების მოძრაობის მხრივ, [illegible] იგი სამგზავრო მატარებლების მოძრაობის მხრივ. საშუალოდ სახალხო მატარებლების ცხრილის მიხედვით მოძრაობის პროცენტი არ აღემატება 15-ს. უმეტეს შემთხვევებში კი ამაზე ნაკლებია. თვით ჩქარი მატარებლები და ექსპრესიც, რომლებიც უპირატესობით სარგებლობენ დანარჩენ მატარებლებთან შედარებით, დაგვიანებით მოძრაობენ. მათი მოძრაობა ცხრილის მიხედვით საშუალოდ არ აღემატება 20—25 პროც.

ასეთი მდგომარეობა დიდი ხანია, რაც არსებობს ა.-კ. რკ. გზებზე; ასე განვლო მთელმა 1932 წელმა, ასე გრძელდება ეხლაც. და აქამდე არავის არ მოსვლია, რომ გამოერკვიათ ამ სამარცხვინო მოვლენის მიზეზი და მიეღოთ გადამჭრელი ზომები ტრანსპორტის მუშაობის ამ მთავარი ობიექტის გამოსასწორებლად. არც გზის დირექციას, არც პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს აქამდე არ გადაუდგამთ ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯი.

მხოლოდ ეხლა, გზის სამკუთხედმა გადასწყვიტა გამოეცხადებინა 10 იანვრიდან მატარებლების ცხრილის მიხედვით მოძრაობისათვის ბრძოლის ოცდღიური (2 დეკადა). ოცდღიურის [illegible] მატარებლების ცხრილის მიხედვით მოძრაობის სრული 100 პროც. მიღწევა.

გზის სამკუთხედი აცხადებს, რა ოცდღიურის, [illegible] ვალდებულებას [illegible] ჩრდილო-კავკასიის რკინის გზების წინაშე, რომ მატარებლები გადასცეს ზუსტად დაწესებული ცხრილის მიხედვით.

ოცდღიურის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად გზის დირექციასთან ჩამოყალიბებულია სპეციალური შტაბი გზის ოპერატიული დირექციის და პარტპროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. ასეთივე შტაბები უნდა ჩამოყალიბდეს საექსპლოატაციო რაიონებში და გზის ცალკე სამეურნეო რგოლებში.

ადგილობრივ უკვე დაიგზავნა გზის სამკუთხედის მიერ ხელმოწერილი მიმართვა, სადაც მითითებულია, რომ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა მოხდეს გზის მთელი საზოგადოებრიობის მობილიზაცია. საკითხის აქტიური განხილვა საერთო კრებებზე და საწარმოო თათბირებზე დამუშავებით. ამასთანავე ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა დასახონ კონკრეტული ღონისძიებები გზის მუშაობის ამ ჩამორჩენილ უბანზე გარდატეხის მოსახდენად.

გარდა ამ მასიური ხასიათის კამპანიის ჩატარებისა, ოპერატიული ხაზით გზის დირექციამ გამოჰყო საგანგებო ბრიგადა, რომელსაც დაევალა ჩქარი მატარებლების და ექსპრესის მოძრაობაში შემაფერხებელ მიზეზების გამორკვევა. ეს ბრიგადა უკვე შეუდგა მუშაობას და [illegible]. ჩქარი მატარებლების შემდეგ იგი გამოარკვევს ჩვეულებრივ სახალხო მატარებლების დაგვიანებით მოძრაობის მიზეზებს.

# სად ჩატარდება მეოთხე დამამთავრებელი წლის სესხის პირველი ტირაჟი

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილებით, მეოთხე დამამთავრებელი წლის სესხის პირველი ტირაჟი მოეწყობა იმ რესპუბლიკაში და რაიონში, რომელიც ყველაზე ადრე დაამთავრებს სესხის რეალიზაციას და მიიღებს უკეთეს მაჩვენებლებს სახსრების მობილიზაციაში.

პირველი ტირაჟი მოეწყობა 5 თებერვალს.

# უპროცენტო მომგებიან ანაბრების მოგებათა პირველი ტირაჟი

თბილისში დაიწყო უპროცენტო მომგებიან ანაბრების მოგებათა პირველი გათამაშება. 9 იანვარს ტირაჟი მოეწყო პლეხანოვის კლუბში, სადაც გათამაშებულ იქნა ლენინის რაიონის შემნახველ სალაროების უპროცენტო ანაბრების მოგებანი. ტირაჟს დაესწრნენ წარმოებათა დამკვრელთა წარმომადგენლები და მუშათა დიდი რაოდენობა. მოგებათა გათამაშების წინ უპროცენტო მომგებიან ანაბრების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. შემნახველ სალაროების სამმართველოს უფროსი ამხ. ბერძენიშვილი. მისალმებებით გამოვიდნენ ქ. ერისთავის, შემნახველ სალაროების, ა-კ. სამმართველოს, თბილისის საბჭოს და სხვ. წარმომადგენლები. გათამაშებულ იქნა ორი მოგება, რომლებიც ხვდა № 18 და 2 საანაბრო წიგნების მეპატრონეებს (ერთი მათგანი „26"-ის ქარხნის მუშაა).

გუშინ, საღამოს მოგებათა გათამაშება ჩატარდა სტალინის რაიონში — ტრამვაელთა კლუბში.

# თბილისში შენდება ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა

საქ. მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატში მიღებული ცნობებით, უმაღლესმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა დაამტკიცეს თბილისში ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის აგების პროექტი. ქარხანამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მთელი ლითონის მრეწველობა ისეთი რაოდენობის ნედლეულით, რომ შესაძლებელი გახდეს არსებული ლითონის ქარხნების პროდუქციის ერთი სამად გადიდება.

ქარხანა დაამზადებს თუჯის ნაღობს, ფოლადს და ფერად ლითონებს, სულ წელიწადში 80.000 ტონის რაოდენობით. იქვე მოეწყობა ცალკე საამქრო წყალსადენის მილების გამოსაშვებად. ქარხნისათვის საჭირო ნედლი მასალა შემოზიდული იქნება ქერჩიდან, ხოლო შემდეგ დაშქესანიდან.

ქარხნის ასაგებ ადგილად ამორჩეულია დიდუბე, მექანიკური ქარხნის მახლობლად სამხედრო გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე. მშენებლობის დასაწყებათ საჭირო სამზადისი უკვე მესამე თვეა სწარმოებს. თვით მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წლის მარტიდან იმ ვარაუდით, რომ ქარხნის ასაგები პირველი რიგის სამუშაოები დამთავრებულ იქნეს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალისათვის. ქარხანა ნაწილობრივ უნდა ამუშავდეს 1933 წლის ბოლოს და 1934 წლის დასაწყისისათვის მან უნდა მოგვცეს თავისი პირველი პროდუქცია. პირველი რიგის სამუშაოების შესასრულებლად საჭირო იქნება 1.500.000 მანეთი. აღნიშნული თანხის გაცემა უკვე გათვალისწინებულია მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრებით.

ქარხნის მშენებლობის დასაწყებათ უკვე გადადგმულია სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები. სწარმოებს მუშა-ხელის შეკრება, სამშენებლო მასალების მომარაგება და სამუშაო ნახაზების დეტალურად დამუშავება.

თბილისში ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის აგებას უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა ექნება. როგორც ცნობილია საქართველო გამოყოფილია ჩაის და აბრეშუმის მრეწველობისათვის საჭირო მანქანათმშენებლობის რესპუბლიკად მეორე ხუთწლედში და შემდეგაც, საქართველოს მრეწველობამ უნდა უზრუნველყოს მთელი საბჭოთა კავშირის საჭიროების დაკმაყოფილება, როგორც ჩაის, აგრეთვე აბრეშუმის სხვადასხვა მანქანებისა და მოწყობილობების მოთხოვნილებების მხრივ. პირველ ხუთწლედში ჩვენ უკვე მივაღწიეთ ამ დარგში უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას, მეორე ხუთწლედში ამოცანები იზრდება და თუ ჩვენი მსუბუქი მანქანათმშენებლობა არ უზრუნველვყავით ადგილობრივი წარმოების ნედლეულით, ისე გაძნელდება დასმულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრა.

თბილისში ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის აგებით ჩვენი მსუბუქი მანქანათმშენებლობისათვის ნედლეულის მომარაგების პრობლემა უკვე გადაწყვეტილი იქნება.

80.000 ტონა ლითონი ყოველწლიურად, ეს ლითონის მრეწველობის განვითარებისათვის ისე დიდი იმპულსია, რომ ჩვენ შეგვიძლია ეჭვს გარეშე ვივარაუდოთ საქართველოს ლითონის მრეწველობის პროდუქციის სამჯერ ზრდა მეორე ხუთწლედის განმავლობაში.

# შავი ზღვის რკინის გზის მშენებლობაზე

**სოხუმი**, 10 იანვარი. შავი ზღვის რკინის გზის მშენებლობაზე დაიწყო რელსების დაგება ოჩემჩირ-კვეზანის უბანზე. მიმდინარე წლის დამლევს განზრახულია პირველი მატარებლის გაშვება კვეზანში (ადს).

# ოფიციალური განყოფილება
## დადგენილება
### საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი
### 1933 წელ კარაქისა, რძისა და ყველის სახელმწიფოებრივი დამზადების მოწყობისა და ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია 1933 წელს კარაქისა, რძისა და ყველის სახელმწიფოებრივი დამზადების მოწყობისა და ჩატარების წესის შესახებ.

2. 1933 წელს რძისა, კარაქისა და ყველის ძირითად დამზადებლებად ცნობილ იქნენ: „საქკარაქტრესტი" და „[illegible]" საქართველოს სსრ-ში და „აფკავშირი"—აფხაზეთის ავტ. სსრ-ში.

3. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დარაიონება დამამზადებელი ორგანიზაციების ხაზით:

„საქკარაქტრესტისათვის" — ბაშკიჩეთისა, წალკისა, ბოგდანოვკისა, ახალქალაქისა, [illegible] და ხევის რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი;

„აფკავშირისათვის — აფხაზეთის ავტ. სსრ;

„[illegible]" — საქართველოს სსრ ყველა სხვა რაიონი და აჭარისტანის ავტ. სსრ.

4. განისაზღვროს, რომ „საქკარაქტრესტისათვის" მიჩენილ რაიონებში იგი მუშაობს თავისი ქვედა ქსელის მეშვეობით, ხოლო იქ, სადაც ასეთი ქსელი არ არსებობს, დამზადებას აწარმოებს სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებების მეშვეობით, ხელშეკრულებების საფუძველზე.

5. მოუხდელი რძის მწარმოებელ რაიონებად (ე. ი. რაიონებად, რომლებიც ახალ ნაწველ რძეს აბარებენ) საქართველოს სსრ-ში ცნობილ იქნეს: ტფილისისა, გარეკახეთისა, ბორჯომისა, ალბულაღ-მანგლისისა, ყარაიასი, მცხეთისა, ქუთაისისა და ჭიათურის რაიონები და ქ. ტფილისი.

შენიშვნა: დანარჩენ რაიონებს, რომელნიც მოუხდელი რძის მწარმოებელნი არ არიან მთლიანად, ხოლო რომელთაც შეუძლიათ ახალნაწველი რძის ჩაბარება დიდრონ სამრეწველო საწარმოთა მუშების მოსამარაგებლად, განსაზღვრავს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი სარაიონო ორგანიზაციებისა ან დამამზადებელი ორგანიზაციების წარდგინებით.

6. აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა გამოჰყონ 1933 წ. იანვრის 12-თვის მოუხდელი რძის მწარმოებელი რაიონები.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ცეკავშირს—ერთი დღის ვადაზე მობილიზებულ ჰყოს და წარმართოს დამზადებას რაიონებში. ადგილობრივი ორგანიზაციების დასახმარად. თითო პასუხისმგებელი [illegible] მომუშავე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
რ. შომასია

1933 წ. იანვრის „8"
ტფილისი

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

11 იანვარს, დღის სრულ 2 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში (ოთახი № 12) ამხ. მდივანთან შესდგება თათბირი შემდეგ საკითხზე: „ძირეული პრესორგანიზაციების [illegible] - [illegible] კამპანიის მიმდინარეობა".

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დაუგვიანებლივ დასწრება მასალით: კარაპეტიანი (კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომი), ახალაძე (ლენრაიკომი), ხაჩიკიანი („26" რაიკომი) სარქისოვი (ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი), შემდეგი საწარმოთა პარტკოლექტივების, პარტუჯრედების მდივნები და ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეები: ტრამვაი, მაუდის ფაბრიკა, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა, სტალინის სახელობის ავტოსახელოსნოები, ლითონის კონსტრუქც. ქარხანა, მკერავი № 2, სახელგამის № 1 სტამბა, თამბაქოს ფაბრიკა № 1, თამბაქოს ფაბრიკა № 2, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, ავეჯის ფაბრიკა, „რემშენტრესტის" სახელოსნოები პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფია, ბამბის ფაბრიკა, „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, პურის ქარხანა, მკერავი № 1, საქკინმრეწვი, ხორცის კომბინატი კალინინის სახელობის ქარხანა, ხისმაწარმოები, პოლიგრაფტრესტის სტამბა № 3, კარიერები, სადგური ქ. სამმართველო, რუსთაველის თეატრი, ლუდის ქარხანა, ტრაქტორცენტრის სახელოსნოები; შემდეგი კავშირების ცენტრ. გამგეობათა თავმჯდომარეები: მშენებლობის, სამკერვალო მრეწველობის, მეტყევეების, ხისდამმუშავებლების, სამთამადნო მრეწველობის, [illegible]; სიხარულიძე (საქ. პროფსაბჭო), მუხნიკაშვილი (ხელოვნების მუშაკთა კავშირი). [illegible] (მკერავთა კავშირის ცენტრ. გამგეობა), საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტიდან: მიმაგრებული ამხანაგები: იმედაძე, [illegible], ლუსკაშვ (ც. კ.), ბაბაიანი, არუთინოვი, [illegible], ჯაკაია, [illegible], [illegible], დემეტრაძე, ფილიევი, [illegible], ჯაში, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" „კომუნისტის", „ტიფლისკი რაბოჩის", „მუშას", „პროლეტარის" და „ენი-კენდის" რედაქციების წარმომადგენლები ყუჯიშვილი და ლევინი (ალკკ-ის თბილისის კომიტეტი), მონტინი (საქართველოს ბინათ კავშირი), სიხარულიძე (საქ. პროფსაბჭო).

—.—

საქ. კ. პ. (ბ) სტალინის სახელობის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება იუწყება, რომ 11 იანვარს, საღამოს 7 საათზე უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სკოლაში (ჩიტაძის ქუჩა. ყოფ. ა-კ. კომუნისტ. უნივერსიტეტი). შესდგება საკანდიდატო სკოლების. დაწყებითი პოლიტსკოლების და მიმდინარე პოლიტიკის წრის პროპაგანდისტთა ერთდღიანი სემინარი ქართულ და რუსულ ენაზე შემდეგ საკითხზე: „პროპაგანდის მეთოდიკა". პარტგანათლების ქსელის სკოლების და წრეების ცალკე ტიპებში.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის კულტ. და პროპაგ. განყოფილება აცხადებს, რომ 11 იანვარს საღამოს 7 საათზე ყოფ. ა-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში (შიო ჩიტაძის ქუჩა № 6) შესდგება საკანდიდატო სკოლების, დაწყებითი პოლიტსკოლების და მიმდინარე პოლიტიკის წრეების ხელმძღვანელთა ერთდღიანი მეცადინეობა. მეცადინეობის თემა: პროპაგანდის მეთოდიკა სკოლების და წრეების ცალკე ტიპების მიხედვით. აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

—:—

ლენრაიკომის კულტპროპგანყოფილება აცხადებს, რომ 11 იანვარს, საღამოს 7 საათზე (ჩიტაძის ქ. № 6, ყოფ. ა-კ. კომუნისტური უნივერსიტეტი). შესდგება პროპაგანდისტთა სექციების ერთდღიანი მეცადინეობა „პროპაგანდის მეთოდიკის" საკითხზე. სავალდებულოა ყველა ტიპის პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასწრება. აწარმოებს ზუსტი აღრიცხვა.

რუსთაველის [თეატრი]

11 იან 5 აბ 6 წ
1. ჯამბაზები
[illegible] შესრულ. მ. ქაშელი (ქაშაქაშვილი)
2. ყიფჩაღთა ბანაკი

12 იანვ 2 ნაწ. დღისით
ევგენი ონეგინი
საღამოთი 11 აბ. 6 წ
ალი

13 იანვარს 9 აბ. მე-6 წარმ.
აბესალომ და ეთერი

[illegible] დღისით 11—2 ს. საღამოთი 6—8 საათ

სახელმწიფო დრამა კოტე მარჯანიშვილის [თეატრი]

11 იან 10 აბ 4 წ
ოტელო

12 იანვარი პრემიერა
მზის დაბნელება საქართველოში

20 იანვრამდე შემოტანილი უნდა იყოს აბონემენტის მე-5 გადასახადი. ბ. 49

ს. ს. რესპ. სახ. არტისტის კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრი

პრემიერა

12, 13, 14 იანვარს

პიესის პირველ დადგმიდან 80 წლ. თავის აღსანიშნავად (პირველად დაიდგა 12 იანვ. 1853 წ.)

გ. ანტონოვი

მზის დაბნელება საქართველოში

კომ. 3 მოქმ.

ინტერმედია „ძველი და ახალი თბილისი"

სამივე წარმოდგენის ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის სალაროში. გაუქმებულია უფასო შესასვლელი ბილეთები და კონტრამარკები. 4—3 ბ. 32

11 იანვ 12 აბ. 5 წ
ლამარა

12 იანვ აბ გარეშე
ლამარა

13 იან 3 აბ 6 წ
ლამარა

მე 4 გადასახადი სავალდებულოა. შეტანილი უნდა იქნას წარმოდგენის დღის 2 საათამდე. სალარო ღიაა დილის 11—2, საღ 6—9 საათ.

დასაწყისი სრულ 8 საათზე. ბ. 43

სახკინმრეწვის კინო-თეატრები

ოქტომბერი [illegible]
5. 7 50. 9. 10 50

ოქტომბერი დღისით
12 1 50.

დამკვრელი
[illegible] 6, 7 40 9.20 11

ბავშვთა კინო
დამკვრელთან
სეანს. 10. 12. 2.

[illegible] თეატრი
დამკვრელთან
სეანს. დღს. 7 8.30

კინო დარბაზი
[illegible] 30. [illegible] 30. 11

ლიუქსემბურ. სახ
[illegible]
5. 7 9 .11

რ. ლიუქსემბურ. სახ
დღისით

ახალი ხმოვანი ფილმი
ქ. შ. ე

[illegible]
მეზღვაური
[illegible] № 3

ახალი [illegible] ფილმი
უბრალო შემთხვევა რეჟ. პუდოვკინი
[illegible] № 7

მხატვრული ფილმი
საბარგო მატარებელი 717
[illegible] № 1

ახალი [illegible] ფილმი
დნეპრშენი
[illegible] № 18

თავგადასავლის ფილმი
ჩანგ (ჯუნგლის საიდუმლოება)
[illegible] № 5

[illegible] ფილმი
შაქირ (როტე-ფანე)
[illegible]

[illegible] ფილმი
უკანასკნელი [illegible]
[illegible] № 39.

ექიმი
ვ. აივაზოვი
დაბრუნდა
კანის და ვენერიული სნეულებანი სიფილისი.
ჟულიუსის (ყოფ. კიროვის) № 49 სახლში.
ღებულობს 9—12 და 5—8 საათამდე.
3—1 7961

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, საშარდე და კანის სნეულებანი.
მიიღება საღამოს 6—9 საათამდე მარტის ქუჩა № 6 (ყოფ. ბოგოსლოვსკის) ვერის ბაზართან
13—1 84

ექიმი
ი. მ. პარმა
შინაგანი სნეულებ. (სპეც. ნივთიერებათა ცვლის და კუჭის ნაწლავის)
იღებს საღ. 7—8 საათამდე ლომინაძის (ყ. იზმაილოვის) შეს. № 8
1152

ექიმი
მ. ზ. ხეჩუმილი
მეანობა და ქალთა სნეულებანი მიიღება 5—7 საათამდე.
ბარონის (დუმპის) ქუჩა № 26
63

სტამბა „კომუნისტი" 1932 წ. კამოს ქუჩა № 62
მთავლიტის რწმუნებული ა 1254